რაც შეეხება წმიდა გიორგის ეკლესიას, იგი XI საუკუნით თარიღდება (ხარაძე,2014: 207). იგი საკმაოდ მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. სტილისტურად დარბაზული ტიპის ეკლესიაა ორი მინაშენით. ნაგებია ადგილობრივი ალგეთის რუხი თლილი ქვის მოზრდილი ფილებით. გვხვდება საშენი ლოდების შეპირისპირების ტექნიკა, კონსტრუქცია სხვადასხვაა შუაწყობაში ცუდად დამუშავებული ტექნიკაა. ჩანს რამდენიმე სამშენებლო ეტაპი. ეს დადასტურდა ჩრდილოეთ კედლის მინაშენის განმენდის დროსაც. ყველაზე საგულისხმო აღნიშნულ ტაძარზე როგორც ისტორიული, ისე ძველი ქართული სახვითი ხელოვნების თვალსაზრისით არის ბაზალტის ბარელიეფი, რომელიც დატანებული იყო აძიკვის ეკლესიაზე მიშენებული ეგვიპტის კედელში (1,85 × 0,85 მ, ბაზალტი, პირი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში). მასზე გამოსახულია ოთხი ფეხზემდგომი მამაკაცი (მკვლევართა ვარაუდით – დიდებულები). ბარელიეფს ოთხივე მხრივ შემოუყვება ასომთავრული წარწერა (პალეოგრაფიულად X-XIII სს.). აღნიშნული წარწერა პირველად ექვთიმე თაყაიშვილს წაუკითხავს: „ქ. სახელითა ღმთისადათა მე ვარაზბაკურ შევსწირე მიწად თავნარული აძიკურსა ეკლესიასა სალოცავად სულისა ჩუენისა, ვინ შეუცვალოს ანუ ლოცვისაგან კიდე რასაც ენუკევდეს, კრულ იყოს ღრმთისა დაუსაბამოდასა პირითა ამინ“.(თაყაიშვილი,2018: ბარელიეფზე გამოსახულ პირთა სახელებს მკვლევრები სხვადასხვანაირად კითხულობენ: “ელქატმონ, შოთად, გამრეკელ, ავავ” (ინგოროყვა,1963: 123). “შოთად, გამრეკელ, ბეშქენ, ვარაზბაკურ” (ბერძენიშვილი,1964:273) პ. ინგოროყვას ვარაუდით, ბარელიეფზე შეიძლება გამოსახული იყო შოთა რუსთაველი. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ბარელიეფის ხასიათი და წარწერა

თვით აძიკვის ასომთავრულ წარწერას (XI-XII სს.) უნდა უკავშირდებოდეს და იურიდიული აქტის (მიწის შეწირვის) დამტკიცება-მოწმობას გამოხატავდეს. დღეისდღეობით აძიკვის ეკლესია საკმაოდ სავალალო მდგომარეობაშია, ჩამონგრეულია სახურავი და კამარები. აგრეთვე სხვადასხვა ხეების ფესვებისგან საკმაოდ დაზიანებული ტაძრის დანარჩენი კედლებიც. იგი სასწრაფო ყურადღებას და დახმარებას ითხოვს.

2020 წლის 24 ივლისიდან 24 სექტემბრამდე არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი პროფ. კვიციანი) სავლელ არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა გოხნარის ეკლესიის ეზოში. პროექტის ფარგლებში იგეგმებოდა ძეგლის განმენდაველური მცენარეული საფარისაგან, ნაშალი და ნაყარი ფენებისაგან და სამშენებლო ნარჩენებისაგან განმენდა. შესასწავლ ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ობიექტების გავრცელების არეალის და რაობის დასადგენად იგეგმებოდა საცდელ-საძიებო თხრილების გაჭრა. თხრილების განლაგებას, ინტენსივობას და სიღრმეს განაპირობებს მცენარეული საფარი, რელიეფი, გეოლოგიური ქანების განლაგება და კულტურული ფენების განლაგება-ინტენსივობა. ეკლესიის გარე პერიმეტრის ჩრდილო-დასავლეთის კუთხის მიწის (ნაყარი) გატანის შედეგად გამოჩნდა ჩრდილო-დასავლეთით მთელ გაყოლებაზე ტაძრიდან 2.95 სმ დაშორების კედელი. ტაძრიდან დასავლეთით 1.90 სმ სიგრძეზე დადასტურდა გალავნის კედელი. მისი სიგანე დასავლეთ მხარეს უდრის 110 სმ. გალავანი გრძელდება ჩრდილოეთითაც. ჩრდილოეთით გალავნის კედლის სიგანე უდრის 1 მეტრს. პრეპარაციისას ამოდიოდა ბათქაშების ფრაგმენტები. საკმაო რაოდენობით გამოვლინდა ცხოველის ძვლები, კერამიკის ფრაგმენტი. მათ შორის აღსანიშნავია თხელკეციანი, მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები, ჩრდილოეთ კედლის გასუფთავების დროს ნაყარ ფენაში აღმოჩნდა ჯამის ძირის ფრაგმენტები. იგი მოჭიქულია ნაკანრი წარწერებით. ასევე დაფიქსირდა თიხის მილებისა და კრამიტის ფრაგმენტები. დასავლეთი კედლის გაგრძელებაზე აღმოსავლეთით სამკვეთლოს გარეთ დაფიქსირდა 2 ცალი, ხოლო სამკვეთლოში 1 ცალი სატყორცნი ლოდი. შესაძლოა ფილაკავანისგან იყო ნატყორცნი.

აძიკვის თიხის ნაწარმი, თიხის სტრუქტურით, გამონვის ტექნიკით და ორნამენტით უახლოეს პარალელებს პოულობს მე-11-12 სს. მოჭიქულ კერამიკასთან.

პროექტის ფარგლებში შედიოდა აძიკვის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე სამარხი ქვების ლოდების პრეპარაცია. ეს საფლავის ლოდები დიდი ოსტატობით არის გათლილი და ბრწყინვალე კომპოზიციითაა წარმოდგენილი. ერთ-ერთ საფლავის ქვაზე გაკეთებული წარწერა პროფ.გიორგი ოთხმეზურმა ასე წაიკითხა:

ასომთავრული: 1დიდ ას ღნი მიონდვს( ბოლო ასოა იოტა)  
2. ონდკთამსთს ქარაგმების გახსნით: 1. დიდ ა(რ)ს ღ(მრთისა)ნი მიონდ(ო)ვ(ლი)ს(ა)- ბოლო ასოა იოტა 2. ო(ფალმან) დ(ა) კ(ე-თილ)თა მ(ი)ს(თა)თ( )ს პირველი სტრიქონის ბოლო გრაფემათა ჭგუფი შეიძლება გაიხსნას ასე: მიო( )ნ(ვ)დ(ომ)ვ(ლი)ს(ა)- ბოლო ასოა იოტა იქ სადაც ფრჩხილები ღიადაა დატოვებული უნდა იყოს ვიე.

ძნელია თქმა, ვინ უნდა იყოს აქ დაკრძალული, მაგრამ ჩვენი წინასწარი ვარაუდია, რომ ვინაიდან გოხნარი დიდგორის ველთან ახლოს (შესაძლოა ბრძოლა ამ ადგილზეც მიმდინარეობდა) მდებარეობს და ქრონოლოგიურ ჩარჩოშიც ჯდება, შესაძლოა აქ დიდგორის გმირები იყვნენ დასვენებული. ასევე არ გამოვრიცხავთ სამშვილდის გმირებს. ყველა შემთხვევაში აქ საქართველოსთვის თავდადებული გმირები განისვენებენ და მათი დაფასება (მოვლა, შესწავლა-კვლევა) ყველა ქართველის ვალია.

ამრიგად აძიკვის ეკლესიისა და სამაროვნის სრული შესწავლისათვის საჭიროა მომავალში არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელება, რაც დააზუსტებს ძეგლის ხასიათს და მას-შტაბებს.

### **ლიტერატურა:**

- ბაქრაძე, ა.(1959) - თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები, როგორც ისტორიული წყარო // საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე. - XX-B გოხნარის ეკლესიის შემორჩენილი წარწერების მიმოხილვა.

- ბერძენიშვილი დ.(1982) თრიალეთის უცნობი წარწერები //საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული VI. - თბილისი. დარბაზული ტიპის საყდრის მოკლე ხუროთმოძღვრულ-მხატვრული დახასიათება.
- ბერძენიშვილი ნ.(1964) საქართველოს ისტორიის საკითხები. I. - თბილისი. მოკლე ცნობები გოხნარის ეკლესიის შესახებ.
- თაყაიშვილი, ექ.(2018)-.Гохнари [გოხნარის ეკლესია] თხზულებანი ტ. 5.-თბილისი.
- თათარაშვილი კ.(1925) გოხნარის მიდამოების მოკლე ჰიდროლოგიური მიმოხილვა //საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, III.

St. George Church and Cemetery of Adzikvi (Gokhnari) is located in Tetrtskaro Municipality, 20 km south-west of Manglisi, in the gorge of the river Bzistskali, on the outskirts of the village Gokhnari. 1378-1390 meters. GPS coordinates: X - 0443488 Y- 4611501 H = 1376

This gorge was quite a strategic and developed place, which is evidenced by various historical, cultural or other buildings.

As for the Church of St. George, it dates back to the XI century (Kharadze, 2014: 207). It is a very important monument. Stylistically, there is a hall-type church with two outbuildings. It is built of large tiles of local Algeti gray cut stone. There is a technique of contrasting building boulders, the construction is different, with a poorly processed technique in the middle. Several construction stages can be seen. Basalt bas-relief, which was placed in the wall of Egvetri (1.85 × 0.85 m, basalt, a replica is kept in the State Museum of Georgia). It depicts four standing men (according to researchers - nobles). The mentioned inscription was first read by Ekvtime Takaishvili: “K. In the name of God, I have sacrificed the land of Varazbakur to the head of the Adzikuri Church to pray for our souls, whoever changes or whatever is left of the prayer, will be crowned with the unsuitable mouth of the deep. ” (Takaishvili, 2018). Scholars read the names of the people depicted in the bas-relief in different ways: “Elkatmon, Shota, Gamrekel, Avag” (Ingorokva, 1963, p. 123). “Shota, Gamrekel, Beshken, Varazbakur” (Berdzenishvili, 1964, p. 273). According to In-

gorokva, Shota Rustaveli may have been depicted on the bas-relief. According to Berdzenishvili, the character and the inscription of the bas-relief should be connected with the Asomtavruli inscription of Adzikvi (XI-XII centuries) and should be approved by a legal act (land donation). As well as the rest of the walls of the temple, which were quite damaged from the roots of various trees. She calls for urgent attention and help.

From July 24 to September 24, 2020, the Archaeological Expedition (headed by Prof. Z. Kvitsiani) conducted field archeological works in the yard of Gokhnari Church. The project planned to clean the monument from wild vegetation, debris and bulk layers and construction debris. It was planned to cut test-excavation trenches to determine the area and location of the archaeological sites in the study area. The location, intensity and depth of the trenches are determined by the vegetation, terrain, geological rocks and the location-intensity of the cultural layers. A fence wall 1.90 cm west of the temple was confirmed. Its width on the west side is equal to 110 cm. The fence extends north as well. To the north, the width of the fence wall is equal to 1 meter. Among them are fragments of thin-walled, glazed ceramics, while cleaning the north wall, fragments of the bottom of the jam were found in the bulk layer. It is glazed with scratch inscriptions. Fragments of clay pipes and tiles were also observed. On the extension of the west wall, 2 pieces of mortar were observed outside the east wall and 1 piece of hammer stone in the area. It may have been from Tilakavan.

Adzikvi pottery, with its clay structure, firing technique and ornament, finds the closest parallels with 11th-12th century glazed pottery.

The project included the preparation of tombstones on the south-eastern slope of Adzikvi Cemetery. These tombstones are masterfully smoothed and presented in a magnificent composition. The inscription on one of the tombstones was read by Prof. Giorgi Otkhmezuri as follows: Asomtavruli: 1 big hundred ghni is given (the last letter is Iota) 2. Ondktamst is opened with the opening of the caragms: The group of last graphemes of the first string of Palma) n



d (a) k (ethyl) ta m (i) s (ta) t ( ) can be opened as follows: A) - The last letter iota where the brackets are left open should be vie.

It is difficult to say who may have been buried here, but we suppose that since Gokhnari is located near Didgori Valley (maybe the battle was going on at this place as well) and also fits in chronological order, Didgori heroes may be resting here. We also do not exclude the Samshvilde heroes. In all cases, the people buried here must be the heroes devoted to Georgia and it is the duty of every Georgian to appreciate (care, study) them.

Thus a full study of the Adzykvi Church and Cemetery requires the continuation of archaeological work in the future, which will clarify the character and scope of the monument.

#### **References:**

- Bakradze, A. (1959) - Epigraphic monuments of Trialeti and Ateni as a historical source // Georgian. Museum Bulletin.- XX-B.
- Review of the surviving inscriptions of Gokhnari Church.
- Berdzenishvili, D. (1982) Unknown Inscriptions of Trialeti // Collection of Historical Geography of Georgia VI.- Tbilisi.
- A brief architectural-artistic description of the hall-type cathedral.
- Berdzenishvili, N. (1964) Issues of Georgian History I, Tbilisi.
- Brief information about Gokhnari Church.
- Takaishvili, Ek. (2018) -. Гохнари [Gokhnari Church] Essays Vol. 5.-Tbilisi.



ბიბლიური დრო და ისტორიის დასასრული  
BIBLICAL TIME AND THE END OF HISTORY

ზურაბ კიკნაძე  
Zurab Kiknadze

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ilia State University

**საკვანძო სიტყვები:** დრო და სივრცე, სამყარო, დასასრული,  
მარადისობა, ახალი ცა და ახალი მიწა.

**Keywords:** Time, Space, World, End, Eternity, New Heaven and New Earth.

ბიბლია სამყაროს ხედვას *sub specie temporis* – დროის თვალთახედვით. ბერძნული კოსმოსისგან განსხვავებით, ბიბლიური სამყარო უფრო დროში არსებობს, ვიდრე სივრცეში. კოსმოსი, სადაც ბერძენი ცხოვრობს, დასრულებულია, იგი სრულყოფილი სახით გამოვიდა ზევსის თავიდან. ბიბლიური სოფელი (ებრ. 'ოლამ) კი, სადაც ძველი აღთქმის ადამიანი მოძრაობს, ჯერ არ დასრულებულა. ის განაგრძობს ქმნადობას, ის გარდაქმნას და საბოლოო ფერისცვალებას ელის. ძველი ცა და ძველი მიწა ახალი ცისა და ახალი მიწის, ანუ სამყაროს განახლების მოლოდინშია.

დროის სფეროს ეკუთვნის მოლოდინი, რომელიც წინასწარმეტყველთა პირით გაცხადებული მსოფლგანცდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეპტუალური კატეგორიაა. ბიბლიური ისტორია მოლოდინით არის სავსე.

ბიბლიის იმ ადგილიდან, სადაც ვკითხულობთ, რომ დასაწყისში ღმერთმა შექმნა ცა და მიწა (დაბ. 1:1), იმ ადგილამდე, სადაც ნათქვამია, რომ აღარ იქნება დრო (გამოცხ. 10:6), მოქცეულია ისტორიის მთელი მდინარეა, რომელიც დროის დასასრულისაკენ მიისწრაფის. შეიცვლება დაძველებული ბუნების წესი – დრო უკუიქცევა ან შეჩერდება, შეწყდება ჩვეული თანამიმდევრობა და რაციონალური აღქმისთვის მიუწვდომელ თვისობრიობაში გადავა: „აჰა, დადგება ჟამი, ამბობს უფალი, როცა მხვნელი თავს წაადგება მომკვლს, ყურძნის მწურავი – მთესველს“ (ამო. 9:13), ანუ დროის ყოველი მდინარეა სივრცეში განიფინება და ეს იქნება ქვეყნის დასასრული, კოსმიური და საკაცობრიო ისტორიული პროცესის საერთო ბოლო.

მიუხედავად ბიბლიის ტექსტის დროისმიერი განმსჭვალულობისა, დრო არ არის თვითმიზანი, მისი მიზანი მარადიულ სივრცეში მკვიდრობის მოპოვებაა, სადაც ყველაფერი, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება, ერთჟამობაში მოექცევა. დრო მხოლოდ საშუალებაა ამის მისაღწევად. დრო მნიფდება ამ სივრცისთვის და ამნიფებს ამ სივრცეს, მას მოაქვს სივრცის ეს მკვიდრობა. ცხადია, დრო-ჟამის დასასრულის ის იმედიანი პერსპექტივა, რომელიც ესაიას ხილვაში მოგვეცა, არ ეკუთვნის მხოლოდ ძველი აღთქმის ხალხს, ის მთელი კაცობრიობის ხვედრია. ამიტომ არის, რომ ახალი აღთქმის უკანასკნელი წიგნი ტრიტოესაიას ნახილვები სურათით იტყობინება (გამოცხ. 21).

### ლიტერატურა:

- Heschel 1990: Abraham J. Heschel, *Der Sabbat: Seine Bedeutung für den heutigen Menschen*, Neukirchen-Vluyn: Neikirchner Verlag, 1991.
- Heschel 2001: Abraham Heschel, *The Prophets*, New York: Perennial Classics, 2001.
- Theological 1980: R. Laird Harris, Gleason L. Archer, Jr., Bruce K. Waltke (ed.), *Theological Wordbook of the Old Testament*, vol. I, Chicago: Moody Press, 1980.

The Bible views the universe *sub specie temporis* - under the aspect of time. Unlike the Greek cosmos, the Biblical world exists to a greater extent in time than in space. The cosmos where a Greek lives, is complete; it came out from Zeus' head in the perfect form. In contrast, the Biblical world (Heb. 'olam), in which the Old Testament man moves, is not completed yet. The process of its creation continues, it awaits transformation and final transfiguration. The first heaven and the first earth are in expectation of a new heaven and a new earth, i.e. the renewal of the universe.

The expectation belongs to the domain of time, which, revealed through the mouth of prophets, is one of the significant conceptual categories of worldview. The Biblical history is full of expectations. It is oriented to the End.

From the passage of the Bible in which we read that "In the beginning God created the heaven and the earth" (Gen. 1:1) to the passage in which it is said, "that there should be time no longer" (Rev. 10:6), the entire course of history is spanned, which is striving to the end of time. The rule of the old nature will change – time will be driven back or stopped, the ordinary sequence will cease and will pass into the quality inaccessible to rational perception: "Behold, the days come, saith the LORD, that the plowman shall overtake the reaper, and the treader of grapes him that soweth seed" (Am. 9:13), in other words, all course of time will be extended in space and this will be the end of the world, the common ending of the cosmic and human historical process.

In spite of the fact that the Biblical text is imbued with time, time is not self-purpose, its objective is to obtain residence in the eternal space, where everything which was, is and will be, will be united within a single season. Time is only a means to attain this. Time is maturing for this space and is maturing this space, it imparts this residence of space. Naturally, the hopeful prospect of the end of time, given in Isaiah's vision, does not belong only to the people (resp. the Chosen people) of the Old Testament, it is the lot of all mankind. Therefore, the final book of the New Testament ends with the picture seen by Isaiah (Rev. 21).

#### **References:**

- **Heschel 1990:** Abraham J. Heschel, *Der Sabbat: Seine Bedeutung für den heutigen Menschen*, Neukirchen-Vluyn: Neikirchner Verlag, 1991.
- **Heschel 2001:** Abraham Heschel, *The Prophets*, New York: Perennial Classics, 2001.
- **Theological 1980:** R. Laird Harris, Gleason L. Archer, Jr., Bruce K. Waltke (ed.), *Theological Wordbook of the Old Testament, vol. I*, Chicago: Moody Press, 1980.

ქრისტიანობამდელი დამწერლობის ნიმუშები  
საქართველოში  
SAMPLES OF PRE-CHRISTIAN WRITING IN GEORGIA

ვახტანგ ლიჩელი  
Vakhtang Licheli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** პალეო-ქართული წარწერა, ძვ.წ. X საუკუნე.

პროტო-ქართული დამწერლობა ძვ.წ. IV - ახ.წ. IV საუკუნეები.

**Keywords:** Paleo-Georgian inscription, 10th c BC, Proto-Georgian Signs, 4th c BC - 4th c AD.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგად დაგროვდა გარკვეული სახის არტეფაქტების ჯგუფი, რომელიც კონკრეტულ ინფორმაციას იძლევა ქრისტიანობამდელი საქართველოს ინტელექტუალური დონის შესახებ. ეს არის დამწერლობის ნიმუშები.

უადრესი მათგანი დადასტურებულია გრაკლიან გორაზე და თარიღდება ძვ.წ. X საუკუნით. ეს არის საკულტო დანიშნულების წარწერა (პალეო-ქართული), რომელიც პატარა სამლოცველოში არის გაკეთებული. ამავე ასობით არის შესრულებული მეორე წარწერაც ქვის ლანგარზე. ექსპერიმენტების საფუძველზე ვფიქრობ, რომ ლანგარზე მითითებულია მისი ტევადობა – ორი „იბერიული მინა“ მარცვლეული.

გარკვეული შუალედის შემდეგ, ძვ.წ. IV საუკუნიდან იწყება ადგილობრივი დამწერლობის განვითარების ახალი, საყოველთაო ეტაპი, რაც აისახა კიდევ „ქართლის ცხოვრებაში“ მეფე ფარნავაზის მოღვაწეობასთან დაკავშირებით და რომელიც მოიცავს კოლხეთსა და იბერიას. დამწერლობის ეს სახეობა (პროტო-ქართული) გამოიყენებოდა ახ.წ. IV საუკუნემდე. ამის შემდეგ კი ხმარებაში შემოდის ქრისტიანული დამწერლობა.

### **ლიტერატურა:**

- ლიჩელი, ვ., Licheli V., (2020), Intellectual Innovations in Georgia (11th-9th Centuries BC).Excavations at Grakliani Hill, Brill, 2020, In: Ancient Civilizations from Scythia to Siberia, 26.
- ლიჩელი ვ., 2001, კოლხეთისა და იბერიის კულტურის საკითხები, თბილისი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.

Archaeological excavations in Georgia in recent years have accumulated a group of certain types of artefacts, which provide specific information about the intellectual level of pre-Christian Georgia. These are patterns of writing.

The earliest of them is confirmed on Gracliani Hill and dates back to the 10th century BC. This is a cult inscription (Paleo- Georgian) made in a small shrine. The second inscription on the stone



plate is made with the same signs. Based on experiments, I believe, it is indicated on the plate that it can hold two “Iberian Mina” grains.

After some interval, from the 4th century BC, begins a new, universal stage in the development of the local script, which was reflected in the “Life of Kartli” in connection with the activities of King Pharnavaz. The area of the spreading of signs includes Colchis and Iberia. This type of writing (Proto-Georgian) was used until the 4th century A.D. Then the Christian script came into use.

### **References:**

- Licheli V., (2020), Intellectual Innovations in Georgia (11th-9th Centuries BC).Excavations at Grakliani Hill, Brill, 2020, In: Ancient Civilizations from Scythia to Siberia, 26.
- Licheli V. (2001). kolxetisa da iberiis kulturis sakitxebi [ The Problems of the Culture of Colchis and Iberia]. In:The Journal of the Centre for Archaeological Studies of the Georgian Academy of Sciences. Tbilisi.



# DETRANSITIVA TANTUM IN THE ṬUROYO VERB SYSTEM

**Sergey Loesov**  
**Ksenia Kashintseva**

HSE  
Institute for Oriental and Classical Studies

**Keywords:** *Contemporary Aramaic, Ṭuroyo, Grammatical Semantics,  
Detransitive, Verb Morphology,*

The verb in Țuroyo has three derivational patterns (or “stems”). The G-stem has two past-tense bases whose choice depends on the transitivity value of the verb: L-Preterite *nšəqlə* ‘he kissed (him)’ vs. “absolutive” Preterite *nafəq* ‘he went out’. In addition, all three stems (G, D, and C) have so-called “passive” bases both in Preterite and Inflectum, *q̄t̄il/məq̄t̄əl*, *mqāt̄əl/miqāt̄əl*, and *maq̄t̄əl* (or *mtaqt̄əl*)/*miṭ̄aq̄t̄əl* respectively. Our corpus analysis shows that in both G- and D-stems the above shapes have mostly non-passive meanings. Moreover, for certain roots, only these “passive” bases are used (though their meanings are by no means passive), so the respective verbs can be dubbed *DETRANSITIVA TANTUM*. Many of them are denominated from nouns borrowed from Arabic or Kurmanji.

The study includes a catalogue of such verbs. Each entry contains an etymology, suggested lexical and grammatical meanings, and textual examples. Our data on the Țuroyo verbs are taken from our draft Verb Glossary of Țuroyo.

**წმ. დიმიტრი თესალონიკელის „ნამების“  
უცნობი ეპიზოდები ქართული წყაროების  
მიხედვით**  
**UNKNOWN EPISODES OF “MARTYRDOM”  
OF ST. DEMETRIOS OF THESSALONIKI IN GEORGIAN  
SOURCES**

**მაია მაჭავარიანი**  
**Maia Matchavariani**

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა  
ეროვნული ცენტრი  
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

**საკვანძო სიტყვები:** ჰაგიოგრაფია, წმინდანთა კულტი

**Key words:** hagiography, cult of saints

აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული წმინდანის, დიმიტრი თესალონიკელის შესახებ არსებულ სხვადასხვაენოვან წყაროებს მეცნიერები უკვე საკმაო ხანია იკვლევენ. მაგრამ დღემდე არავის შეუსწავლია ამ წმინდანის შესახებ არსებული ქართული წყაროები, სადაც დაცულია წმინდანის კულტის ჩამოყალიბების ისტორიისათვის მეტად საყურადღებო ცნობები. ნაშრომში განხილულია ძველ ქართულ ლიტერატურაში დაცული შვიდი თხზულება, სადაც აღწერილია წმინდანის წამების ამბავი.

ტექსტების კვლევამ აჩვენა, რომ:

1) X-XI ს-ის მოღვაწემ, ექვთიმე ათონელმა პირველმა თარგმნა ქართულად წმ. დიმიტრი თესალონიკელის შესახებ არსებული თხზულებები – მან თარგმნა „წამება“, „სასწაულები“ და შეთხზა „შესხმა“ გრიგოლ ნაზიანზელის 24-ე ჰომილიის საფუძველზე.

2) ექვთიმეს თარგმანებში გამოვლინდა მონაკვეთები, რომლებიც არ დასტურდება არცერთ სხვაენოვან წყაროში – წმ. დიმიტრის მოწამეობრივი აღსასრული ორი იარაღით, მინრონმდინარების სასწაულის დაკავშირება წმინდანის კულტის ჩამოყალიბების უადრეს პერიოდთან და სხვა.

3) ეს უცნობი ეპიზოდები, სავარაუდოდ, ექვთიმეს რედაქციების გავლენით, შეტანილია ასევე წმ. დიმიტრისთან დაკავშირებულ სხვა თხზულებებში – გიორგი ათონელის სვინაქსარსა და თვენში, ბასილი ფილიპელისა და ლეონ ბრძენის „შესხმებში“.

მასალის შესწავლის საფუძველზე ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ ექვთიმე ათონელმა პირველმა შექმნა წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების ქართული ციკლი და დაამკვიდრა წმ. დიმიტრი თესალონიკელის კულტი საქართველოში. ციკლში ჩანართი ეპიზოდები ნაწილი ექვთიმემ გადმოიტანა დღეისათვის დაკარგული ბერძნული წყაროებიდან, ციკლი მთლიანობაში კი გადაამუშავა და გაამშვენიერა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ყალიბებისა და პარადიგმების მიხედვით.

## ლიტერატურა:

- გოგუაძე, ნ., შალამბერიძე, ნ., ნატრაძე, ნ. (2014). ოქტომბრის მეტაფრასები (ძველი ქართული თარგმანები). თბილისი.
- მაჭავარიანი, მ. (2006). წმ. დიმიტრის ციკლი („წამება“, „სასწაულები“, „შესხმა“) ქართულ მწერლობაში. სადისერტაციო ნაშრომი (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად). თბილისი.
- სკედროსი, ჯ. – Skedros, J. (1999). Saint Demetrios of Thessaloniki – Civic Patron and Divine Protector 4<sup>th</sup> – 7<sup>th</sup> Centuries CE. Harvard Theological Studies, Trinity Press Intern.
- ვალტერი, კ. – Walter, Ch. (2003). The Warrior Saints in Byzantine Art and Tradition. Ashgate.

Various sources about one of the most famous and popular saints of the Eastern Christian world, Demetrius of Thessalonica, have long been the subject of scholarly research. However, the existing Georgian sources about this saint, which contain very important information about the history of the cult of the saint, are still unexplored. The paper discusses seven writings preserved in ancient Georgian literature, which describe the story of the saint's martyrdom.

A study of the texts showed:

1) The prominent ecclesiastical figure of the 10th-11th cc, Euthymius the Athonite was the first to translate the existing works about St. Demetrius of Thessalonica – he translated “Passion”, “Miracles” and composed original “Praise” based on the 24th homily of Gregory Nazianzen.

2) Some passages of Euthymius' versions are not found in any other source – killing of the saint with two weapons, the connection of the appearance of the miraculous myrrh with the earliest period of the formation of the cult of the saint, and so on.

3) These unknown episodes, presumably under the influence of Euthymius' versions, are also included in other Georgian texts related to St. Demetrios, such as Giorgi the Athonite's Synaxarion and

Menaion and in the translations of the “Praises” by Basil of Philippi and Leo the Wise.

Based on the study of the material, we came to the conclusion that Euthimius the Athonite was the first to create Georgian cycle of works related to St. Demetrios and established the cult of St. Demetrios of Thessaloniki in Georgia. The unknown passages and details, found in Euthimius’ cycle, are taken from the Greek sources lost to date, and the cycle as a whole is reworked and embellished according to the forms and paradigms of the hagiographic literature.

### **References:**

- Gogvadze, N., Shalamberidze, N., Natradze, N. (2014). Oqtombris metafrasebi (dzveli qartuli targmanebi) [Metaphrastic Texts of October (Old Georgian Translations)]. Tbilisi
- Matchavariani, M. (2006). Tsm. Dimitris tsikli (“Tsameba”, “Sastsalebi”, “Sheskhma”) qartul mtserlobashi [St. Demetrios Cycle (“Martyrdom”, “Miracles”, “Praise”) in Georgian Literature]. (Thesis Submitted for Receiving the Degree of Doctor of Philological Science), Tbilisi.
- Skedros, J. (1999). Saint Demetrios of Thessaloniki – Civic Patron and Divine Protector 4<sup>th</sup> – 7<sup>th</sup> Centuries CE. Harvard Theological Studies, Trinity Press Intern.
- Walter, Ch. (2003). The Warrior Saints in Byzantine Art and Tradition. Ashgate.



ქართლი და სასანიანთა ირანი III ს.  
რელიგიური ასპექტი  
KARTLI AND SASANIAN IRAN III C.  
RELIGIOUS ASPECT

მარია მშვილდაძე  
Marika Mshvildadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: რელიგია, ისტორია, პოლიტიკა, გლიპტიკა  
**Keywords:** Religion, History, Politics, Engraved gems

ახ.წ. I-III საუკუნეებში ქართლი “Pax Romana”-ს გეოპოლიტიკურ სფეროში შედიოდა. გამონაკლისს წარმოადგენს ახ.წ. III საუკუნის შუა ხანები, როდესაც ქართლის მეფე ამაზასპი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, იძულებულია სახელმწიფო ორიენტაცია შეცვალოს და თავი ირანის შაჰის შაბურ I-ის ვასალად აღიაროს.

III საუკუნე მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს სასანიანთა ირანისათვის, რომელსაც რელიგიური რეფორმების ხანა შეგვიძლია ვუწოდოთ (კარტირი და მანი. ზოროასტრიზმი და მანიქეველობა). ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს დავადგინოთ, თუ რამდენად აისახა სასანიანთა ირანში III საუკუნეში არსებული რელიგიური სიტუაცია ქართლზე. ნაშრომში ისტორიულ წყაროებსა და არტეფაქტებზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებულია იბერიასა და სასანიანთა ირანს შორის არსებული პოლიტიკური და რელიგიური საკითხები. კვლევის შედეგად დგინდება, რომ ქართლი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, გვერდს ვერ აუვლიდა III საუკუნეში სასანიანთა ირანში მიმდინარე რელიგიურ პროცესებს, მაგრამ, იმავდროულად, ეს პროცესები ნაკლებად უნდა ასახულიყო ქართლზე. ნიშანდობლივია, რომ სასანური გლიპტიკური ძეგლები ქართლში უმეტესად IV საუკუნის შემდეგ ჩნდება და მთელი სასანური პერიოდის მანძილზე გრძელდება. გემა კი თანადროული ისტორიული დოკუმენტია, რომელზეც გამოსახული ღვთაებები, სიმბოლოები და რიტუალური სცენები, რაც სინათლეს ჰფენს ამა თუ იმ პერიოდის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს.

### **ლიტერატურა:**

- ლუკონინი, ვ. გ. \_ Lukonin, V. G.(1969). Kultura sasanidskogo Irana. [Culture of Sassanian Iran]. Moscow: Academy of Sciences Publishing House. “Nauka”.
- მშვილდაძე, მ.(2018). \_ Mshvildadze, M.(2018). Sasanidskie celnokamennie perstni-peshati iz Pikrisgora (v Mckheta). [Sasanian Whole Stone Signets from the Piquisgora Sepulche]. Materiali mejdunarodnoi konferensii “Aktualnie problemi sovremennogo vostokovedenia”. 92-102. Baku: Azerbaijan National Academy of Sciences Publishing House.

- რამიშვილი, ქ. (1979). სასანური გემები საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

In the I-III centuries A.D, Kartli was included in the geopolitical sphere of “Pax Romana”. The exception is the mid III century A.D., when King Amazasp of Kartli, due to the political situation, was forced to change his state orientation and recognize himself as a vassal of Shah Shabur I of Iran.

The 3rd century is an important period for Sassanid Iran, which can be called the era of religious reforms (Kartir and Mani. Zoroastrianism and Manichaeism). Our area of interest is to find out how much the religious situation in Sassanid Iran of the 3rd century reflected on Kartli.

The paper examines and analyzes political and religious issues between Iberia and Sasanian Iran based on historical sources and artefacts. The research shows that due to the political situation, Kartli could not bypass the religious processes taking place in Sasanian Iran in the 3rd century, but, at the same time, these processes supposedly had a smaller impact on Kartli. It is noteworthy that Sasanian engraved gems in Kartli appear mostly after the IV century and throughout the Sasanian period. The engraved gems a contemporary historical document on which the depictions of deities, symbols and ritual scenes shed light on the religious beliefs of this or that period.

#### **References:**

- Lukonin, V.G.(1969). Kultura sasanidskogo Irana [Culture of Sassanian Iran]. Moscow: Academy of Sciences Publishing House. “Nauka”.
- Mshvildadze, M. (2018). Sasanian Whole Stone Signets from the Pqrisgora Sepulche. Materials International Academic Conference “Contemporary research issues of Oriental studies”. 92-102. Baku: Azerbaijan National Academy of Sciences Publishing House.
- Ramishvili, K (1979). Sassanid engraved gems in Georgia. Tbilisi: Georgian National Academy of Sciences Publishing House.



ღვთისმშობლის მიძინებისადმი მიძღვნილი  
თექსტების სამსაფეხურებრივი განვითარების  
სურათი ძველი ქართული ნათარგმნი ძეგლების  
მიხედვით

A PICTURE OF THE THREE-STAGE EVOLUTION OF  
THE TEXTS DEDICATED TO THE DORMITION OF THE  
MOTHER OF GOD ACCORDING TO THE OLD GEORGIAN  
TRANSLATED MONUMENTS

ნინო მელიქიშვილი  
Nino Melikishvili

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა  
ეროვნული ცენტრი  
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

**საკვანძო სიტყვები:** აპოკრიფი; ფსევდობასილი; საფეხური;  
დიონისე არეოპაგელი; თეოლოგია.

**Keywords:** Apocrypal; Pseudo-Basil; Stage; Dionysius the Areopagite;  
Theology.

მოხსენებაში განვიხილავთ ბიზანტიური სასულიერო მწერლობის რამდენიმე ძეგლის ძველ ქართულ თარგმანს, რომლებიც ასახავს ღვთისმშობლის მიძინებისადმი მიძღვნილი ტექსტების სამსაფეხურიანი განვითარების სურათს. I საფეხურის ტექსტია იოანე მახარებლისადმი მიკუთვნილი აპოკრიფი, II საფეხურს წარმოადგენს VI ს-ისეულად მიჩნეული ფსევდობასილის ნახევრად აპოკრიფული თხრობითი ხასიათის ტექსტის ქართული ვერსია, ხოლო III საფეხურის წარმოსაჩენად წერილში გაანალიზებულია წმ. ანდრია კრიტელისა და წმ. იოანე დამასკელის ორი ჰომილია. თემატურად მსგავსი ტექსტების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა მათ შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება: I და II საფეხურის ტექსტები სიუჟეტურად მსგავსია, გამოიკვეთა, აგრეთვე, მსგავსება ფრაზეოლოგიის დონეზე. ფსევდობასილი იცნობს იოანე მახარებლისეულ აპოკრიფულ ტექსტს, იყენებს მას, მაგრამ ავრცობს ახალადთქმისეული ელემენტებით და იმ ცოდნით, რომელიც არსებობდა ავტორის დროს; მიუხედავად ამისა, ამ ტექსტს, მთელი რიგი მოვლენების გაშუქებისას, შენარჩუნებული აქვს აპოკრიფული ჟანრის ნიშნები. რაც შეეხება მიძინების ტექსტის II და III საფეხურის ტექსტების ურთიერთობას, მათში გამოიყო სამი ელემენტისაგან შემდგარი საერთო ხაზი, მაგრამ ის, რაც ფსევდობასილთან მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და მინიშნების დონეზეა, III ეტაპის ჰომილიებში თეოლოგიური აზრის განვითარების მაღალ საფეხურს წარმოაჩენს. გადასვლა I საფეხურიდან II-ზე და II-დან - III-ზე, ტალღისებურად ხდება - ყოველი შემდეგი ეტაპი წინა ეტაპის ტექსტის გავრცობა და სრულყოფაა. ელემენტები, რომლებიც ერთმანეთისაგან განასხვავებს I და II საფეხურის ტექსტებს, ასევე, II და III საფეხურისას, კარგად ასახავს შესატყვისი ეპოქების საღვთისმეტყველო ცოდნას.

სტატიაში განხილულია, აგრეთვე, II ეტაპის ფსევდობასილისეულად მიჩნეული ტექსტის ავტორობის საკითხი. სათაურში დასახელებული ბასილი კესარიელის შესაძლებელ ავტორობას გამორიცხავს წერილში გაანალიზებული მასალა: ბასილი კესარიელის დროს (IV ს-ში) ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი და ხელმისაწვდომი დიონისე არეოპაგელის „არეოპაგეტული

კორპუსი“, რომლის გამოყენების კვალიც თითქოს ჩანს ფსევდობასილისეულ ტექსტში (დიონისეს ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ). იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაუშვებთ, რომ ეს ეპისტოლე ფსევდობასილისეულ ტექსტში ეფუძნება არა „არეოპაგეტულ კორპუსს“, არამედ აღმოსავლეთსა და დასვლეთში უფრო ადრე გავრცელებულ მის რომელიმე აპოკრიფული ვერსიას, მაინც გაჭირდება ბასილი კესარიელის მიჩნევა ტექსტის ავტორად მასში არსებული აპოკრიფული ელემენტების სიჭარბის გამო.

ფსევდობასილის ტექსტის VI ს-ით დათარიღების ერთადერთი არგუმენტი ეჭვის ქვეშ დგება იმ ალბათობის დაშვებით, რომ მასში დიონისე არეოპაგელის, ტიმოთეს, ტიტესა და იეროთეოსის სახელები მოხვდა არა „არეოპაგეტული კორპუსიდან“, არამედ „დიონისეს ეპისტოლეს“ VI ს-მდე გავრცელებული რომელიმე აპოკრიფული ვერსიიდან. ეს ტექსტი, თავისი სიღრმითა და ავტორის საღვთისმეტყველო ცოდნის დონით, იმდენად ჩამოუვარდება III საფეხურისეულად მიჩნეულ VII-VIII საუკუნეების ჰომილიებს, რომ შუალედი მათ შორის არა ერთ და ორ საუკუნეს, არამედ გაცილებით დიდ მონაკვეთს შეიძლება გულიხმობდეს.

### **ლიტერატურა:**

- კლარჯული მრავალთავი, გამომც. თამილა მგალობლიშვილი, რედ. ელ. მეტრეველი (თბილისი, „მეცნიერება“, 1991).
- ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები, III, გამომც. ნინო მელიქიშვილი, რედ. ი. ორჟონია (თბილისი, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, 2019).
- Michel Van Esbroeck, Apocryphes géorgiens de la Dormition. \_ *Analecta Bollandiana, Revue critique d'hagiographie*, t. 91, ed. B. de Gaiffier, F. Halkin, P. Devos, J. van der Straeten, M. van Esbroeck (Bruxelles, 1973).
- Michel Van Esbroeck, L'assomption de la Vierge dans un transitus Bseudo-Basilien. \_ *Analecta Bollandiana, Revue critique d'hagiographie*, t. 92-fasc. 1-2, ed. B. de Gaiffier, F. Halkin, P. Devos, J. van der Straeten, M. van Esbroeck (Bruxelles, 1974).

The paper suggests a study of the old Georgian translation of some of the monuments from Byzantine ecclesiastical literature. The mentioned monuments represent a picture of a three-stage evolution of texts dedicated to the Dormition of the Mother of God. The text of the first stage is apocryphal ascribed to John the Apostle, the second stage is represented by a Georgian version of a semi-apocryphal text executed in a narrative form by Pseudo-Basil and considered to belong to the 6<sup>th</sup> century. The third stage is described in the article by the analysis of two homilies of Saint Andrew of Crete and Saint John of Damascus. The research done on similar texts revealed an interplay existing among them: the texts of stages I and II are similar by their courses of the story, also, the similarity in the use of phraseology between these homilies became obvious. Pseudo-Basil is familiar with John the Apostle's apocryphal text, he uses it, incorporates in it elements from the New Testament and adds the knowledge existing in the author's time; however, while elucidating numerous events, the text has maintained the signs of the apocryphal genre. As concerns the relationship of the texts of stages II and III of the Dormition Homily, one common line consisting of three elements has been identified, but the aspect, which in Pseudo-Basil's text has an episodic character and only serves as a clue, displays a higher stage of the development of theological thought in the homilies of stage III. A shift from stage I to stage II and III has a gradual wavy form of enhancing and perfecting the texts of previous stages in the following one. The elements, which serve as differentiating points between the texts of stages I and II, also II and III, demonstrate well theological knowledge accumulated in respective epochs.

The article also discusses the issue of authorship of the text considered as the one belonging to Pseudo-Basil. The possible authorship of Basil of Caesarea mentioned in the title is excluded according to the material analyzed in the article: In the time of Basil of Caesarea (the 4<sup>th</sup> century), the Corpus Areopagiticum was not known or accessible. The track of its use can possibly be detected in the text of Pseudo-Basil (Dionysius's letter to Timothy). Even if we assume that the mentioned epistle in Pseudo-Basil's text is not founded in the Corpus Areopagiticum, but is based on any of its earlier apoc-



ryphal versions known in the West and East, it will be difficult to attribute its authorship to Basil of Caesarea because of the excessive use of apocryphal elements in it. The only argument which would prove the dating of Pseudo-Basil's text to the 6<sup>th</sup> century is doubtful due to the assumption of the possibility that the names of Dionysius the Areopagite, Timothy, Titus and Hierotheos were not included in it from the Corpus Areopagiticum, but rather from any of the apocryphal versions of "Dionysius's Epistle" known before the 6<sup>th</sup> century. The mentioned text, with its depth and level of the theological knowledge of the author, is to such extent inferior to the homilies of the 7<sup>th</sup>-8<sup>th</sup> centuries considered as the texts of the third stage, that the interval between them may not be one or two centuries, but a much larger period of time.

#### **References:**

- *The Klardjeti Polycephalon*, Tamila Mgaloblishvili, comp. ed. By E. Metreveli (Tbilisi, 1991).
- *Georgian Translated Homiletical Monuments, III*, Nino Melikishvili, comp. Ed. By Irakli Orjonia (Tbilisi, 2019).
- Michel Van Esbroeck, Apocryphes géorgiens de la Dormition. \_ *Analecta Bollandiana, Revue critique d'hagiographie*, t. 91, ed. B. de Gaiffier, F. Halkin, P. Devos, J. van der Straeten, M. van Esbroeck (Bruxelles, 1973).
- Michel Van Esbroeck, L'assomption de la Vierge dans un transitus Pseudo-Basilien. \_ *Analecta Bollandiana, Revue critique d'hagiographie*, t. 92-fasc. 1-2, ed. B. de Gaiffier, F. Halkin, P. Devos, J. van der Straeten, M. van Esbroeck (Bruxelles, 1974).



# GEORGIAN SOURCES ABOUT THE MONGOLS

**Roin Metreveli**

Georgian National Academy of Sciences

**Keywords:** *Mongols, The Chronicle, Zhamtaaghmcereli, Kartlis Tskhovreba,*

Georgian narrative and documentary material (historical chronicles, some legal and economic documents) constitutes a significant primary source to be taken into account when researching the Mongol-Georgian relations as well as the history of the Mongols themselves. These sources deal with various questions related to the Mongols and the history of the peoples conquered by them.

Primary mention should be made of the extensive work of an anonymous Georgian author of the fourteenth century, called *Zhamtaaghmcereli* (“Chronicler of the Times”). It is known as a *Chronicle of One Hundred Years*, or occasionally, a *Chronicle of the Time of the Mongols*, the *Georgian Chronicle* or *The Hundred Years’ Chronicle*. Along with other primary historical sources, it forms part of the corpus of Georgian history called *Kartlis Tskhovreba* (literally: “The Life of Kartli”, Kartli being the core region of ancient and medieval Georgia). The latest edition of the latter corpus came out in Georgian and Russian in 2008, and in English in 2014). Different redactions of the *Chronicle* were published by Marie Felicité Brosset, Zakaria Chichinadze, Ekvtime Taqaishvili, Ivane Javakhishvili and Simon Qaukhchishvili. The first version of *Kartlis Tskhovreba* was presumably compiled on the initiative of King David IV the Builder (1089-1125) in the first quarter of the twelfth century. In the 13<sup>th</sup> and 14<sup>th</sup> centuries and particularly in the 18<sup>th</sup> century, *Kartlis Tskhovreba* was complemented by diverse new chronicles. The old version of the collection in the 12<sup>th</sup> century was translated into Armenian.

*The Chronicle of One Hundred Years* is an important source not only for the history of Georgia and Mongolia but also for the history of Armenia, Azerbaijan, partly Russia, Iran, Central Asia and Asia Minor. Separate aspects of the chronicler’s work have come under the scrutiny of quite a few historians. The eminent Georgian historian Ivane Javakhishvili noted that the chronicler’s work deals not only with political developments, but contains much evidence on governance, taxes and dues, the people’s morality, census data, and church affairs.

The material presented in the *Chronicle of One Hundred Years* is a reliable source for the study of the socio-economic and political history of the Mongol domination in the Middle East. It is of special significance for shedding light on the principles of the relations be-

tween Georgia and the Mongols. The Georgian historian conveyed and assessed all significant economic and social developments of the period of the Mongol rule (e.g., the tax abatements that the Mongols gave to the representatives of different religious denominations). He discusses the conflict between the Georgian secular and clerical powers for some estates, and reports about the general census of 1258 and 1273. He comprehends well that the Mongols strove for adjustment of the tax system.

In the 1220s - the heyday of Georgia - Mongol detachments appeared in the country. Their advent certainly altered the political and economic situation of the Georgian state.

Thus, Georgian primary sources about the Mongols, their conquests and, in general, the socio-economic situation under their rule are not so abundant. Yet, what is available is significant and should be taken into account. The Georgian sources, particularly the *Chronicle of One Hundred Years*, contain important materials about the united Mongol Empire and especially about the Ilkhanate.

#### References:

- Alizade, Abdul-Kerim. Sotsial'no-ekonomicheskaja politicheskaja istoriia Azerbaidzhana, XIII-XIV vv. Baku: "Kavkaz," 2012 (originally published in 1956).
- *Astslovani Maḡiane [The Chronicle of One Hundred Years]*. 2008. *Kartlis Tskhovreba*. Edited by Roin Metreveli. Tbilisi: Artanuji Publishing.
- *Astslovani Maḡiane [The Chronicle of One Hundred Years]*. 1987. Edited by Revaz Kiknadze, Tbilisi: Metsniereba.
- *Astslovani Maḡiane [The Chronicle of One Hundred Years]*. 1959. *Kartlis Tskhovreba*. Edited by Simon Qaukhchishvili. Vol. 2. Tbilisi: State Publishing House Soviet Georgia.
- Gabashvili, Valerian. 1968. "Masalebi akhlo aghmosavletis socialur-ekonomiuri iṣṭoriisatvis. Asclovani Kronika" ["Materials on the Socio-Economic History of the Near East. Work of the Chronicler of One Hundred Years"]. *ḡrebuli: Akhlo aghmosavletis socialur-eḡonomiuri istoria [Essays on the socio-economic history of the Near East]*. Tbilisi: Metsniereba.
- Bartold, Vasilii V. 1963. *Obrazovanie imperii Chingiz-Xana*, Idem, *Sobranie sochinenii*. Vol. 1. Moscow: Izdatel'stvo Vostochnoi Literatury.



ძვლებისა და ძვლოვანი წარმონაქმნების  
აღნიშვნა სემიტურ ენებში  
THE DENOTATION OF BONES AND BONE FORMATIONS IN  
SEMITIC LANGUAGES

მარინა მეფარიშვილი  
Marina Meparishvili

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ilia State University

გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies

**საკვანძო სიტყვები:** სემიტური, პროტოსემიტური, ძვალი,  
ძვლოვანი წარმონაქმნი, რეკონსტრუირებული ძირები  
**Keywords:** Semitic, Proto-Semitic, Bone, Bone Formation, Reconstructed  
Roots

1. მოხსენებაში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლებიც ეხება ერთ-ერთი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის ანალიზს სემიტურ ენებში. საზოგადოდ, ლექსიკურ-სემანტიკური ხასიათის კვლევები მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის როგორც ისტორიულ-შედარებითი, ისე ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისით. ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა ძვლებისა და ძვლოვანი წარმონაქმნების აღმნიშვნელი ლექსემების თემატური ქვეჯგუფი, რომელიც იერარქიულად უფრო ფართო, სხეულის ნაწილების ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს მიეკუთვნება. კვლევის მიზანი იყო, გამოვლენილიყო ძირები, რომლებიც ხასიათდებოდნენ ფართო დისტრიბუციითა და სწორი რეგულარული ფონეტიკური შესატყვისებით, შედეგად, შესაძლებელი იქნებოდა მათი აღდგენა პროტოსემიტურ დონეზე იმ მნიშვნელობებით, რაც უკავშირდებოდა განსახილველ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს, კერძოდ, ძვლებისა და ძვლოვანი წარმონაქმნების, როგორც მყარი შემაერთებული ქსოვილების აღნიშვნას. დავძენთ, რომ ზოგადად, ისინი წარმოადგენენ ცოცხალი ორგანიზმის, სხეულის სიმტკიცისა და სიმყარის მიმცემ სუბსტანციას, რომელსაც დამცავი ფუნქციაც ენიჭება.

2. საკვლევი მასალის ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი საშუალებას იძლევა დაბეჭითებით ითქვას შემდეგი: ძვლებისა და სხვა მყარი ძვლოვანი სტრუქტურების სემანტიკის მქონე თემატური ჯგუფის აღნიშვნა დასტურდება პროტოსემიტურ დონეზე რეკონსტრუირებულ შემდეგ ძირებში: **tm**, **ꜥl**, **ḫnn**, **ꜥrš** და **qrn**, მათ შეესატყვისება შემდეგი მნიშვნელობები: „ძვალი; მთავარი ძვალი“, „ნეკნი“, „კბილი“, „ძირითადი კბილი“ და „რქა“. სახელდობრ, პროტოსემიტურ დონეზე უნდა აღდგეს საერთოსემიტური ძირები შემდეგი მნიშვნელობებით:

საერთოსემიტური ძირი **tm** „ძვალი; მთავარი ძვალი“;

საერთოსემიტური ძირი **ꜥl** „ნეკნი“;

საერთოსემიტური ძირი **ḫnn** „კბილი“;

საერთოსემიტური ძირი **ꜥrš** „ძირითადი (არასარძევე) კბილი“ და

საერთოსემიტური ძირი **qrn** „რქა“.



რაც შეეხება საერთოსემიტურ ძირს tny, იგი პროტოსემიტურ დონეზე აღდგება მნიშვნელობით „ორი; მეორე“, ხოლო ჩრდილო- და სამხრეთარაბულ ენებში წარმოქმნილი მნიშვნელობა „წინა წყვილი, მჭრელი გაორმაგებული კბილი“ იკვეთება როგორც ძირის ძირითადი მნიშვნელობიდან განვითარებული, მეორეული მნიშვნელობა. იგი სემანტიკურად მოტივირებული, ასოციაციური ლექსემების მაგალითად უნდა განვიხილოთ.

### **ლიტერატურა:**

- Wolf Leslau, Etymological Dictionary of Harari, (Berkeley & Los Angeles, 1963), 19-168.
- Timothy M. Johnstone, Harsusi Lexicon and English-Harsusi Word-List, (London, New York, Toronto, 1977), Oxford University Press, 1 – 181.
- Marina Meparishvili, Comparison of Proto-Semitic Phonological System with Modified Systems in Different Semitic Languages, (Tbilisi, 2014) The Near East and Georgia, VIII, Ilia State University, 72-75.
- Ludwig Koehler, A Dictionary of the Hebrew Old Testament in English and German, Walter Baumgartner, A Dictionary of the Aramaic Parts of the Old Testament in English and German, (Leiden, 1958), 1- 1300.

1. The paper presents the results of a study related to the analysis of one of the lexical-semantic groups in Semitic languages. In general, lexical-semantic studies are very important for contemporary linguistics both from the historical-comparative and general typological viewpoints. Of particular interest to us was the thematic sub-division of lexical units denoting bones and bone formations, which belongs to a hierarchically broader lexical-semantic group of body parts. The aim of the study was to reveal and identify the roots, which were characterized by wide distribution and correct regular phonetic correspondences, as a result, it would be possible to reconstruct them on the Proto-Semitic level with the meanings associated with the lexical-semantic group under consideration, namely, denotation of bone and bone formations, as hard connective tissues. In

general, they represent a substance that gives strength and firmness to the body of a living organism, which also has a protective function.

2. The lexical-semantic analysis of the material under study allows to make the following conclusion: denotation of a thematic group with the semantics of bones and other hard bone structures is attested in the following roots reconstructed on the Proto-Semitic level: *\*tm*, *\*ʔl*, *šnn*, *\*rš* and *qrn*, they express the following meanings: *bone, main bone, rib, tooth, molar tooth* and *horn*. Namely, on the proto-Semitic level the common Semitic roots must be reconstructed with the following meanings:

Common Semitic root *\*tm* with the meaning of *'bone'; 'main bone'*;

Common Semitic root *\*ʔl* *'rib'*;

Common Semitic root *šnn* *'tooth'*;

Common Semitic root *\*rš* *'molar tooth'*;

Common Semitic root *qrn* *'horn'*.

As for the common Semitic root *\*ny*, on the proto-Semitic level it is reconstructed with the meaning *'two; second'*, and the meaning *'incisor tooth'*, emerging in the North and South Arabic languages, appears to be a secondary meaning, derived from the main meaning of the root. It must be considered as an example of semantically motivated, associative lexemes.

### References:

- Wolf Leslau, *Etymological Dictionary of Harari*, (Berkeley & Los Angeles, 1963), 19-168.
- Timothy M. Johnstone, *Harsusi Lexicon and English-Harsusi Word-List*, (London, New York, Toronto, 1977), Oxford University Press, 1 – 181.
- Marina Meparishvili, *Comparison of Proto-Semitic Phonological System with Modified Systems in Different Semitic Languages*, (Tbilisi, 2014) The Near East and Georgia, VIII, Ilia State University, 72-75.
- Ludwig Koehler, *A Dictionary of the Hebrew Old Testament in English and German*, Walter Baumgartner, *A Dictionary of the Aramaic Parts of the Old Testament in English and German*, (Leiden, 1958), 1- 1300.

**EAST SYRIAN IDENTITY IN THE EARLY QAJAR PERIOD:  
SĀBĀ OF ŪLĀ'S BOOK OF THE RULE ON SYRIAC  
LANGUAGE AND ETHNICITY**

**Sergey Minov**

HSE

Institute for Oriental and Classical Studies

**Keywords:** *Sāḅā of Ūlā, Christological Doctrine, Mār Šem'ōn Catholīcos and Patriarch of the East, the Book of the Rule, the Patriarch Mār Šem'ōn XVII Oraham*

- Jones, Stephen F. Socialism in Georgian Colors. The European road to Social-Democracy 1883-1917. Harvard University Press, 2005.
- Suny, Ronald G. The Making of the Georgian Nation. Indiana University Press, Hoover Institution Press. 1988.

The paper analyses an early stage of the formation of the Jewish identity in Georgia with the aim to set the main peculiarities of this process. It highlights the mode of perception of the Jewish community in the second half of the 19th century, the vision of its role and future perspectives in Georgia.

The second half of the 19th century is a period of formation of ethnic, cultural and religious identities in imperial spaces. The same processes took place in Georgia, which was one of the parts of the Russian Empire at that time. The problem of determination of the Georgian identity was actualized: how the in-group and out-group could be differentiated, who should be included and excluded, how the criteria of determination of these groups were defined?

The formation of identity is a complex process. In the case of Georgia, the issue was even problematic due to the ethnic and religious diversity of the country, as well as because of a religious multiplicity of the Georgian ethnic group in itself. Together with the question of determination of the Georgian identity, the problem of setting the identity of other ethnic and religious groups residing in Georgia came to the forefront as well. In this context, the identity of Georgian-speaking Jews living in Georgia and the problem of its interrelation with the Georgian identity was actualized.

Through the prism of identity studies, various texts published in the newspaper “Droeba” are analysed. These texts mainly contain the Georgian perspective; the articles of Jewish authors are rarely presented in the publications of the period.

**References:**

- Saqartvelos Istoriis Narkvevebi. [Essays on the history of Georgia]. T. 5, Tbilisi, "Soviet Georgia", 1970.
- Jones, Stephen F. Socialism in Georgian Colors. The European road to Social-Democracy 1883-1917. Harvard University Press, 2005.
- Suny, Ronald G. The Making of the Georgian Nation. Indiana University Press, Hoover Institution Press. 1988.

ქართულ-ბერძნულ-სირიული  
ისტორიულ-ლიტერატურული ურთიერთობების  
რამდენიმე საკვლევნი საკითხი  
SOME ISSUES REGARDING THE STUDY OF  
GEORGIAN-GREEK-SYRIAN HISTORICAL-LITERARY  
RELATIONS

ელგუჯა ხინთიბიძე  
Elguja Khintibidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** იოვანე საბაწმინდელი, სირიული ჰიმნი,  
რუსთაველის უცნობი ლექსი.

**Keywords:** Ioane Sabatsmindeli, Syriac Hymn, Rustaveli's Unknown Verse.

ქართველი ხალხის საუკუნოვანი ისტორია, სულიერი და მატერიალური კულტურა უფრო საფუძვლიან შესწავლასა და გააზრებას საჭიროებს. ამისათვის კი აუცილებელია უცხოურ წყაროებში გაბნეული ფრაგმენტული თუ მეტ-ნაკლებად თანმიმდევრული ფაქტებისა და ცნობების გამოვლენა, რისთვისაც დღეისათვის უფრო ფართო ასპარეზია, ვიდრე წინა საუკუნეში. წინამდებარე სტატია ამ მიმართულებით რამდენიმე საკითხზე ამახვილებს ყურადღებას. განათლებულ ქართველ ბერძონაზონთა მოღვაწეობა წმინდა მიწაზე ბევრ საიდუმლოს ინახავს და მათი შესწავლა ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა პრეროგატივა უნდა გახდეს. მეცნიერული ინტერესი ამ მიმართულებით ბევრი საკითხის განხილვას საჭიროებს. კერძოდ:

საზღვარგარეთ ქართველთა კულტურული მოღვაწეობის უძველესი კვალი ჩანს წმ. საბას მონასტერში, პალესტინაში. წმ. საბას „ანდერძში“ (მეექვსე საუკუნის დასაწყისში) იკითხება, რომ იბერიელებს და სირიელებს უფლება აქვთ ლიტურგიკული პრაქტიკის რამდენიმე საეკლესიო წიგნი თავიანთ ენაზე წაიკითხონ.

რამდენიმე წლის წინ არმენისტმა ვ. საიბტმა ამ ცნობის თაობაზე რაიმე სერიოზული არგუმენტის გარეშე გააუღერა ჰიპოთეტური შესაძლებლობა იმისა, რომ წმინდა საბას ანდერძის თავდაპირველ ლიტურგიკულ ვერსიაში ამ ადგილას იბერიელების ნაცვლად, ან მათ გვერდით, არმენები იქნებოდნენ დასახელებულნი. განცხადების ავტორმა ანგარიში არ გაუწია იმ ფაქტებს, რომ ქართველ ღვთისმსახურთა კვალი საბას ლავრაში უძველესი დროიდან დასტურდება.

გვიანდელი შუა საუკუნეების ევროპის ხალხთა შორის უაღრესად პოპულარული იყო სასულიერო რომანი „ვარლაამ და იოასაფის ისტორია“, შექმნილი ათონის მთაზე მოღვაწე ბერის წმინდა ეფთვიმე ათონელის მიერ ქართულ წყაროებზე დაყრდნობით. ამ თხზულების ავტორობის პრობლემა მეოცე საუკუნის მედიევისტიკაში ერთი ნიშნელოვანი საკვლევი საკითხი იყო. გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, თხზულების ავტორად ითვლებოდა წმ. იოანე დამასკელი. ამის უმთავრესი არგუმენტი იყო თხზულების დასაწყისი ანუ ლემა, რომელშიაც იკითხება:



„სულის მარგებელი მოთხრობა ეთიოპელთა, ეგრეთ წოდებულ ინდთა, უშინაგანესი ქვეყნიდან წმინდა ქალაქში მოტანილი მონაზონ იოანეს, პატივდებული და რჩეული კაცის წმინდა საბას მონასტრის ბერის მიერ“.

უკანასკნელი ათწლეულების ბიზანტინისტთა და ქართველოლოგთა გამოკვლევებით ეჭვიმუტანელად დადასტურდა, რომ ეს ბერძნული თხზულება შექმნილია ათონის ქართველთა საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ ცენტრში.

ჩემი თვალსაზრისით, იმის ამოსაცნობად, თუ ვინ უნდა იყოს თხზულების ლემაში მოხსენიებული უცნობი საბანწმინდელი ბერი იოანე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იოანეს სახელით ცნობილ იმ ქართველ ბერებს, რომლებიც წმინდა საბას საღვთისმეტყველო ცენტრში მოღვაწეობდნენ და კავშირი ჰქონდათ ათონის ქართულ მონასტერთან; კერძოდ კი – ქართული წყაროებით დამოწმებულ იოანე გოლგოთელს და ცნობილ იოანე-თორნიკეს, რომელიც ათონის მთაზე დაბრუნდა მცირე აზიაში რამდენიმე წლით ყოფნის შემდეგ.

ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის 2013 წელს ცნობილი გახდა შუა საუკუნეების საქართველოსა და სირიის კულტურული ურთიერთობის ერთი მანამდე უცნობი ფაქტი. ქართულ ენაზე ითარგმნა და სირიულ ორიგინალთან ერთად გამოქვეყნდა ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი XIII საუკუნის ჰიმნი სირიული ჰიმნოგრაფიული კოლექციიდან, რომელიც ეხება 1220-30 წლების თბილისის მრავალგზისი აოხრების კატასტროფულ მოვლენებს. იგი შემონახულია მხოლოდ ერთი XVI საუკუნის სირიული ხელნაწერით (კემბრიჯის უნივერსიტეტი). ეს ჰიმნი შედის ყველაზე დიდ აღმოსავლეთ სირიულ ჰიმნოლოგიურ კოლექციაში, ე. წ. ვარდას კოლექციაში და მიეწერება გევარგიუს ვარდას. ჰიმნი სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი გახდა სირიოლოგ ანტონ პრიტულას პუბლიკაციით.

1942 წელს მარსელში გამოიცა არაბულიდან ფრანგულად თარგმნილი ლექსების კრებული, სათაურით – „სიყვარულისა და ომის ისლამური სიმღერები“. მთარგმნელი და გამომცემელი – ფრანც ტუსენი. კრებულში შეტანილია პროზაულად თარგმნილი არაბული, სპარსული, ავღანური, ბელუჯისტანური,

ალთაური, თურქული, ეგვიპტური, მაროკოული, ჰოგარული, ჩერქეზული და მათ შორის ქართული ლექსები. ქართული განყოფილება წარმოდგენილია ოთხი ლექსით: თავად ზუმელის ვარდი, შავთელის დაბრკოლება, რუსთველის ვეფხის ტყავი და ანონიმის ღამე. ამ ლექსთაგან არც ერთი არაა ცნობილი ქართული წყაროებით. უმთავრესი საკამათო საკითხი რუსთველისეულად მიჩნეული ლექსის ჭეშმარიტებაა.

კომენტატორთა ერთი ნაწილი კატეგორიულად უარყოფს ტუსენისეული ფაქტების ნამდვილობას. ფ. ტუსენის ზეპირი გადმოცემით, რომელიც მან ამ საკითხით დაინტერესებულ ქართველ მკვლევრებს მიაწოდა, მას რუსთველის ლექსი ამოუღია კაიროს უნივერსიტეტის წიგნთსაცავში დაცული აბულ-ფარაჟის არაბული ლექსების კრებულიდან. ფიქრობენ, რომ ეს ავტორი უნდა იყოს წარმოშობით სირიელი ქრისტიანი არაბულენოვანი მწერალი, დაბადებული 1225 წლის ახლოს (ზოგი მკვლევრის დაზუსტებით, აბულ-ფარაჟ იბნ ალ-იბრი) – ცნობილი სირიელი მწერალი, მთარგმნელი და კომპილატორი – ეპისკოპოსად მსახურობდა სომხეთში, ცხოვრობდა აზერბაიჯანშიც. მის ნაწერებში არის ცნობები იბერიელებზე, ქართველთა ქრისტიანობაზე მოქცევის თაობაზე, მონღოლებისა და ქართველების ურთიერთობაზე.

ასე რომ, საფუძვლიანი ეჭვის შეტანა ფ. ტუსენის პუბლიკაციის ჭეშმარიტებაში, ნაადრევია. მეორე მხრივ, არც ისაა სასურველი, რომ ფრანგული თარგმანით გამოქვეყნებული რუსთველისეულად მიჩნეული ლექსი ამთავითვე ჩავთვალოთ ჩვენი პოეტის შემოქმედების ჭეშმარიტ კუთვნილებად. საკითხი საკვლევიანია. ამ ფაქტის მიჩქმალვა ან გაუბრალოება, რაც უკვე დიდი ხანია ხდება, მიუღებელია. ესეც ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა გადაუდებელი მოვალეობაა.

### **ლიტერატურა:**

- ვარდა, გ. (2013). XIII საუკუნის უცნობი სირიული ჰიმნი თბილისზე. „ქართველოლოგი“, №19, თბილისი: ქართველოლოგი.
- ბინთიბიძე, ე. – Khintibidze, E. (1997). New Materials on the Origin of Barlaam and Ioasaph. „Orientalia Christiana Periodical“, V.63.II. Roma.

The centuries-old spiritual and material culture of the Georgian people needs a more thorough study. For this, it is necessary to reveal fragmentary or more or less consistent facts and information scattered in foreign sources, for which there is a wider arena today than in the previous century. This article focuses on several issues in this regard. The activities of Georgian educated monks in the Holy Land keep many secrets and their study should become the prerogative of Georgian Oriental studies scholars. Scholarly interest in this area needs to discourse many issues. In particular:

The oldest traces of Georgian cultural activity abroad can be seen in the monastery of St. Saba in Palestine. St. Saba's "Testament" (beginning of the sixth century) states that the Iberians and Syrians have the right to read several ecclesiastical books in their language in their liturgical practice. A few years ago the Armenian studies scholar W. Seibt said (without any serious argument) that in the original version by St. Saba in this place instead of Iberians or next, Armenians would be named. The author of the statement did not pay attention to the fact that the traces of Georgian worshipers in Saba's Lavra are attested from ancient times.

The spiritual novel "The Story of Barlaam and Ioasaph" is based on Georgian sources and created by St. Euthimius the Athonite, a monk serving on Mount Athos was the most popular work, widely known among European people of the late middle centuries. The problem of the authorship of The Story was a major issue of the Medieval Studies of the 20th century. According to the very spread opinion, the author was St. John Damascene. The main argument of which is the beginning or lemma of the Story reading in old Greek Mss.: "An edifying story, from the inner country of Ethiopia, brought to the Holy City by John, a monk of the monastery of St. Sabas..." The last decades' Byzantine and Kartvelological scientific literature undoubtedly proves that this work was created in the Georgian theological-literary center on Mount Athos. In my opinion, it should be paid special attention to the Georgian monks working in the Georgian scriptorium of the St. Saba's monastery, who bore the name of John (Ioane) and had a connection with the Georgian monastery of Mount Athos, for identification of this unknown monk John of St. Saba Monastery; in

particular, Ioane Golgotheli, certified in Georgian sources, and the famous Ioane-Tornike, who returned to Mount Athos after a few years being in Asia Minor.

In 2013, one unknown fact of cultural relations between medieval Georgia and Syria became known to the Georgian scientific community. The hymn of the XIII century, previously unknown to Georgian studies scholars, from the Syrian hymnography collection, which refers to the catastrophic events of Tbilisi's many times in 1220-30, was translated into Georgian and published together with the Syrian original in the journal "The Kartvelologist" (#19, 2013). The hymn on Tiflis from the so-called Warda collection concerns the disasters of conquering and ruining Tbilisi in the first half of the thirteenth century. It is met only in one manuscript of the XVI century (the University of Cambridge) and is ascribed to Giwargis Wardā. The hymn became available for scholarly circles with the publication of Assyriologist Anthon Pritula.

In 1942, a collection of poems translated from Arabic into French was published in Marseilles under the title "Islamic Songs of Love and War". Translator and publisher – Franz Toussaint. The compilation includes prosaic translations of Arabic, Persian, Afghan, Belu-jistan, Altarian, Turkish, Egyptian, Maroconian, Hogarian, Cherqezian and Georgian poems.

The Georgian part of the book includes four poems: Prince Zoumali *La Rose*, Chavtali *L'Embarras*, Roustoual *La Peau de Léopard*, Anonime *Nuit*. However, the poems have not been identified by Georgian sources. The authorship of Rustaveli is one of the major issues of the discussions. Some commentators fully deny the authenticity of the facts provided by Franz Toussaint.

Through oral interpretations, Franz Toussaint explained Georgian experts interested in this issue that he was able to obtain the information concerning Rustaveli from a compilation of Arabic poems by Abu'l Faraj from Cairo University bookstore. This author is considered to be from Syria, a Christian Arab writer born in 1225 (some researchers specify his name as Abu'l-Faraj Ibn al-Ibri). This famous Syrian writer, translator and compiler served as a bishop in Armenia and lived in Azerbaijan. His written records have retained

information on Iberians, conversion of Georgian people to Christianity and the Georgian-Mongol relationship.

So a reasonable doubt in the truth of Toussaint's publication is too early. On the other hand, it is not desirable to consider the poem published in a French translation as a true work by Rustaveli. The issue must be thoroughly studied. To conceal or deny this fact, which has been happening for a long time, is unacceptable. This is also an urgent duty of Georgian orientologists.

### **References:**

- Varda, g. (2013). XIII saukunis utsnobi siriuli himni tbilisze. „-“, №19, tbilisi: kartvelologi. [Warda, G. (2013). The Hymn on Tiflis from the Wardā Collection. “The Kartvelologist”, №19. Tbilisi: Kartvelologi].
- Khintibidze, E. (1997). New Materials on the Origin of Barlaam and Ioasaph. „Orientalia Christiana Periodical“, V.63.II. Roma.



შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის  
ესთეტიკური სამყაროს გაგებისათვის  
ON INTERPRETATION OF THE AESTHETIC WORLD OF THE  
MIEVEAL NEAR EAST

ელიზბარ ჯაველიძე  
Elizbar Javelidze

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია  
Georgian National Academy of Sciences

**საკვანძო სიტყვები:** ესთეტიკური სამყარო, შუა საუკუნეების  
მახლობელი აღმოსავლეთი, ეპოქის კულტურა, ზემთასოფელი,  
კოსმიური

**Keywords:** Aesthetic World, the Medieval Near East, the Culture of  
Contemporary Period, the Other World, Cosmic

მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეების კულტურა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მკვლევართა მიერ იგნორირებულია და თუკი ახსენებენ, მას მოიხსენიებენ როგორც „ათასსაუკუნოვან სიბნელედ“, რაც სხვა არაფერია, თუ არა მკვლევართა ახლომხედველობა და ისტორიული სინამდვილის დამახინჯება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ შუა საუკუნეების მსოფლალქმა რადიკალურად განსხვავდება დღევანდელიდან, რამაც გამოიწვია მისადმი ამგვარი ცინიკური დამოკიდებულება. მაგრამ ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერი შემოქმედი ქმნის თავისი ეპოქის კულტურის შესაბამისად და სავსებით არ ფიქრობს, თუ როგორ შეაფასებენ და აღიქვამენ მომავალი ეპოქის აღქმნელნი მის ქმნილებას.

შუა საუკუნეების ადამიანი სხვაგვარად აღიქვამდა ბუნებას და თავის ორგანულ ნაწილად მიიჩნევდა. სხვაგვარად ქვრეტდა სოფელსა და ზემთასოფელს და მათ ურთიერთკავშირს და, რაც მთავარია, სხვაგვარად აცნობიერებდა ღმერთის მიერ სამყაროს განსხეულების მიზანს, რომლის მიხედვითაც ადამიანი სხვა არსებათაგან იყო თავისი ნიჭით და უნარით გამორჩეული.

მთავარი მაინც იყო ძლიერი და წმინდა სიყვარული, რომელიც წარმმართველი იყო კოსმიური მოძრაობისა და ადამიანის ამქვეყნად არსებობა- მოღვაწეობისა. ღმერთისა და ადამიანის ამ ურთიერთობამ დაბადა თვალსაზრისი, რომ არსებობს მიკრო- და მაკროკოსმოსი, რომლებიც თავისი შინაარსით ურთიერთიდენტურია. მეტიც, მიკროკოსმოსი ანუ ადამიანი თავისი არსით უფრორე აამაღლა, ვიდრე მაკროკოსმოსი. შესაბამისად, ხორცისა და სულით შეჭერებულმა ადამიანმა დაიწყო თვითშემეცნება და სხეულის დაჩაგვრით, სულის აღორძინებით მიაღწია ღვთიურ სიმაღლეს და თავის პირველად სამშობობლოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველად, ქრისტიანობამ წინ წამოსწია ადამიანის გაღმერთების თვალთახედვა, რომელიც უწმინდესი სიყვარულით იყო შეჭერებული. ამავე გზას დაადგა მისტიკური მოძღვრება სუფიზმი, წმინდანს რომ ათქმევინა: „მე ვარ ღმერთი“. ქეშმარიტების ორივე შემეცნების გზა, რომელიც სრულყოფილ ადამიანს ღმერთად მოიაზრებს, მსგავსი და თითქმის იდენტურია. მაგრამ არსებობს განმასხვა-



ვებელი პრინციპი. პირველი (ქრისტიანობა) ინდივიდუალურ სრულყოფას ქადაგებს მაშინ, როცა მეორე (ისლამი – სუფიზმი) ინდივიდის ანუ „მე“-ს უგულვებლყოფით, მოსპობით წინ წამოწევს ერთადერთობის ცნებას, აღიარებს ღმერთს და უარყოფს ყოველგვარ სიმრავლეს. შედეგი კი ერთია: ორივე მოძღვრებას ადამიანი აპყავს ღმერთის სიმაღლემდე. ამგვარად, შუა საუკუნეებში ადამიანმა ღმერთობას მიაღწია. სხვაგვარად, ადამიანი ღმერთად აქცია, ხოლო რენესანსის ძირითადი მიზანი ის არის, რომ გაღმერთებული ადამიანი გაამიწიეროს და მისი ფიზიკური გრძნობები წინ წამოსწიოს და მისი რეალური სახე გვიჩვენოს. სამწუხაროდ, მიწას დაშვებული ადამიანი, დღეს ზედმეტად გამიწიერდა.

არ უნდა დავივიწყოთ ერთ ჭეშმარიტებას, რომ ესთეტიკის ისტორია იყოფა ორ სახეობად – იგივეობისა და დაპირისპირების. იგივეობის ესთეტიკური საფუძველი არის ზოგადი, უკვე აღიარებული, მოწონებული და დაკანონებული ხატები, სახეები, თემები, და ყოველგვარი ორიგინალურის, ინდივიდუალურის, სიახლის უარყოფა. ეს უნდა გააცნობიეროს მკვლევარმა და ის, ვინც შუა საუკუნეების ხელოვნების სამყაროში ახალს და ორიგინალურს ეძებს, წყალში ცეცხლის პოვნა სურს და უბრალოდ თავის არაპროფესიულობას ამტკიცებს.

### **ლიტერატურა:**

- Horten M., Indische Stromungen in der islamischen Mystik, O. Harrassowitz, Heidelberg 1927-28;
- Meyerovitch E., Mystique et Poesie en Islam, Djaläl-ud-Din Rumi at L'Orde des Derwiches tousres. Destlee de Brauwer, 1972;
- Nicholson R.A. The Mystics of Islam, London, 1963;

The medieval culture of the Near East, surprising as it may seem, is ignored by researchers and, if mentioned, is referred to as “the darkness of thousand centuries”, which is nothing else than the short-sightedness of researchers and distortion of historical reality.

It should be noted that the medieval worldview was radically different from the present day, which caused such a cynical approach towards it. But it should not be forgotten either that every artist creates his work according to the culture of his contemporary period and does not think at all how his creation will be evaluated and perceived in the future period.

A medieval human being perceived nature differently and regarded it as his organic part. He viewed differently this world, the other world and their interrelation and, what is the most important, he conceptualized differently the purpose of creation of the world by God, according to which, a human being was distinguished from other creatures by his talent and ability.

The main thing, however, was the strong and pure love that guided the cosmic movement as well as the existence and activity of a human being in this world. This relationship between God and a human being gave rise to the viewpoint that there existed the micro-and the macro-cosmos, which are mutually identical according to their content. Moreover, it elevated the micro-cosmos, i.e. a human being with his essence to a greater extent than the macro-cosmos. Accordingly, a human being, combined in flesh and soul, began self-perception and through the oppression of the body and revival of the soul reached the divine height and his initial homeland. It should be borne in mind that for the first time Christianity put to the foreground the viewpoint of deification of a human being, which was imbued with pure love. The mystical teaching of Sufism followed the same path, which made the saint say: "I am God". Both ways of knowing the truth which conceptualize a perfect human being as God are similar and almost identical. But there is a differentiating principle. The former (Christianity) preaches individual perfection, whereas the latter (Islam – Sufism), by ignoring, annihilating the individual or the "I", puts forward the concept of singleness, acknowledges God and denies any multitude. The result is the same, both teachings take a human being to the height of God. Thus, in the Middle Ages, a human being reached deification. In other words, man became God, whereas the main goal of the Renaissance is to turn earthly the deified a human being, bring to the foreground his physical senses and demon-

strate his real image. Unfortunately, the human being landed on the earth has become too materially-minded at present.

One truth should not be forgotten either. The history of aesthetics is divided into two varieties: identity and opposition. The aesthetic basis of opposition is general, already acknowledged, approved and legalized images, representations, topics and rejection of novelty of anything original, individual. A scholar should be aware of this. A person who is looking for the new and original in the world of medieval art is like someone who wishes to find fire in water and merely proves a lack of professionalism.

### **References:**

- Horten M., *Indische stromungen in der Islamischen Mystik*, O. Harrassowitz, Heidelberg 1927-28;
- Meyerovitch E., *Mystique et Poesie en Islam, Djaläl-ud-Din Rumi at L'Orde des Derwiches tousres*. Destlee de Brauwer, 1972, p. 161.
- Nicholson R.A. *The Mystics of Islam*, London, 1963, p. 82.
- Likhachev D.S. *Poetics of Old Russian Literature*, L., 1967.
- Lomman Y.M. *Lectures on Structural Poetics*, Tartu, 1964.



ნასესხობათა ინტეგრაცია  
ნალკურ ურუმულში  
INTEGRATION OF BORROWINGS IN URUM  
FROM TSALKA

მარია ჯიქია  
Marika Jikia

ნუცა წერეთელი  
Nutsa Tsereteli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** სახელის სესხება, ზმნის სესხება, ნასესხობათა  
ინტეგრაცია, ურუმული

**Keywords:** Noun Borrowings, Verb Borrowing, Integration of Borrowings,  
Urum

საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს და მათ შორის არიან ბერძნები. ბერძნების გადმოსახლების ისტორია ორი საუკუნის წინ დაიწყო და ის უკავშირდება ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმდა რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთის იმპერიას შორის. ბერძნების ორი ნაკადი იყო – პონტოელებისა და თურქულენოვანების. ეს უკანასკნელი დასახლდნენ სამხრეთ საქართველოში, კერძოდ – წალკის რაიონში. მათი სამეტყველო ენა თურქული ენის ერთ-ერთი დიალექტია და მას ურუმული ეწოდება. ურუმული ძალიან საინტერესო სოციო-ლინგვისტური ფენომენია. საბჭოთა საქართველოში ცხოვრების განმავლობაში რუსულმა ენამ ძლიერი გავლენა მოახდინა ურუმულზე და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბერძნები განათლებას რუსულ სკოლებში იღებდნენ და საბჭოთა კავშირის პერიოდში რუსული ფაქტობრივად სახელმწიფო ენას წარმოადგენდა. ნაშრომში წარმოდგენილია ანალიზი იმისა, თუ როგორ ხდება რუსული ენიდან ნასესხები ენობრივი ერთეულების ინტეგრაცია ურუმულში.

მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა უცხოენოვანი ლექსიკის შეთვისების ძირითადი სტრატეგია: ზოგადად ნასესხობები ემორჩილება ურუმული ენის გრამატიკის ნორმებს, რაც აადვილებს სახელებისა და ზმნების ინტეგრაციის პროცესს. დღესდღეობით წალკელ ურუმთა ენა მოიცავს რამდენიმე ენობრივ ლექსიკურ ფენას და, შესაბამისად, იგი შეიძლება ჩაითვალოს „შერეულ“ ენად. საბჭოთა პერიოდში ურუმთა მეტყველებაში იმძლავრა რუსულმა კლიშეებმა და ყოველგვარი ადაპტაციის გარეშე მოხდა რუსული წინადადებებისა და ფრაზების სესხება; მცირე რაოდენობით დაფიქსირდა ქართული, აზერბაიჯანული და ბერძნული ლექსიკური ერთეულები.

### **ლიტერატურა:**

- გუდიაშვილი ე. – Гудиашвили Е. (1949). Особенности турецкого говора Цалкинского района. Тезис. Тбилиси.
- კორელოვი ი. – Корелов И (1993). Сопоставительный анализ базис-

ных уровней структуры языка урумов. Автореферат докторской диссертации. Тбилиси.

- ყახუჩიშვილი ს. (1942). ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში (ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიკური უნივერსიტეტის შრომები). თბილისი.
- ჯანაშია ნ. (1954). ზემო წალკის თურქული მეტყველების თავისებურებანი. სადისერტაციო ნაშრომი (ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად). თბილისი.

Many ethnic groups live on the territory of Georgia and among them are Greeks. The history of migration of the Greeks started two centuries ago according to the Andriapolis Peace treaty, which was signed between the Russian Empire and the Ottoman Empire. There were two groups of Greeks – Pontic and Turkish-speaking Greeks. Turkish-speaking Greeks settled in the southern part of Georgia, in particular in the Tsalka region. The language they speak is one of the dialects of the Turkish language and it is called as Urum language. Urum is a very interesting socio-linguistic phenomenon. Having lived for a long time in Soviet Georgia, the Russian language had a strong influence on Urum and this is not surprising, since the Greeks were educated in Russian schools and during the Soviet era, Russian was, in fact, the state language. The paper presents an analysis of how lexical units borrowed from Russian are integrated into Urum.

The study based on the corpus data of Turkish-speaking Greeks revealed the main strategy of assimilation of foreign lexical units: In general, borrowings obey the grammar norms of the Urum language, which facilitates the process of integration of nouns and verbs. Nowadays

Urum language includes several linguistic lexical layers and therefore it can be considered as a “mixed” language. During the Soviet period, Russian clichés became stronger in the speech of the Urums. Although, there are some examples when Urum people use in their conversation whole phrases or even sentences from Russian without any adaptation. A small number of Georgian, Azerbaijani and Greek lexical units were observed as well.

## References:

- Gudiashvili, E (1949) Osobennosti turetskogo govora tsalkinskogo rajona [Characteristics of Turkish speech of Tsalka region population].Thesis, Tbilisi.
- Korelov, I. A. (1993). Sopostavitel'nyj analiz bazisnykh urovnej struktury jazyka urumov [Contrastive analyses of basic levels of Urum structure]. Abstract of doctoral thesis. Tbilisi.
- Kaukhchishvili, S. (1942). Berdznebis dasaxlebis istoria sakartveloshi. [The history of Greeks migration to Georgia]. Kutais tsuluk'idzis saxelobis saxelmtsipo p'edinst'it'ut'is shromebi [Works of Kutaisi A. Tsulukidze state Pedagogical Institute]. vol.4. Kutaisi.
- Janashia, N. (1954) Zemo tsalk'is turkuli met'q'velebis taviseburebani [Peculiarities of Turkish speaking population of upper Tsalka]. Dissertation (for the degree of Candidate of Philological Sciences),Tbilisi.



# Miscellaneous

## აშშ-ვატიკანის ურთიერთობები ცივი ომის პერიოდში US-VATICAN RELATIONS DURING THE COLD WAR

ლეილა ხუბაშვილი  
Leila Khubashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ვატიკანი, ცივი ომი, პიუს XII, იოანე XXIII,  
ანტისოვიეტობა, ენციკლიკა, აჯორნამენტო.

**Keywords:** Vatican, Cold War, Pius XII, John XXIII, Anti-Sovietism, Enciclica,  
Ajornamento.

მეორე მსოფლიო ომმა სამყარო შეცვალა, შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, იდეოლოგიების ადგილზე რელიგია დაბრუნდა, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საერთაშორისო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წმინდა საყდარი, რომელსაც რელიგიური დატვირთვის გარდა საერო ფუნქციაც გააჩნია, ვატიკანის სახით ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მსოფლიო პოლიტიკაში. ვატიკანი კარგად ინფორმირებული სადაზვერვო სისტემით, ქრისტიანული ფასეულობების დასაცავად ათწლეულების მანძილზე დაუღალავად ებრძოდა კომუნიზმის ათეისტურ იდეოლოგიას და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აშშ-თან ერთად ცივი ომის პოლიტიკის განხორციელებაში. ეს პერიოდი დაკავშირებულია პიუს XII-ის პონტიფიკატთან (1939-1958). თავის მხრივ, საბჭოთა პროპაგანდისტულმა მანქანამ აქტიური ბრძოლა დაიწყო ვატიკანის წინააღმდეგ და ის იმპერიალისტური ბანაკის იდეოლოგიად გამოაცხადა. რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში არსებული დოკუმენტები თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს, თუ როგორ ცდილობდა საბჭოთა იდეოლოგია ვატიკანის ავტორიტეტის შელახვას. ლიბერალური ღირებულებების ეპოქაში პაპის მიზანს დექრისტიანიზაციის შეჩერება წარმოადგენდა, ევროპის ხსნას კი კათოლიკობაში ხედავდა. ამიტომ მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე პიუს XII-მ მკაცრი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ამასთანავე პაპი დიპლომატიურ თამაშს განაგრძობდა. ჩერჩილს მასთან მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა, რუზველტმა კი პაპთან თავისი საგანგებო ელჩი მაირონ ტეილორი გაგზავნა, რომელიც ვატიკანში რომის გათავისუფლებამდე დარჩა. ომის დამთავრებამდე ვატიკანს არ გაუკეთებია არც ერთი ოფიციალური განცხადება რომელიმე მხარის დასაცავად; უდავოა, რომ პაპის დუმილმა და მისმა ნეიტრალიტეტმა წააქეზა გერმანია. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ პაპს ნაცისტურ რეჟიმში მცხოვრებ 40 მილიონ კათოლიკეზე ჰქონდა პასუხისმგებლობა.

ცივი ომის წინაპირობები ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოყალიბდა. 1942 წლის სექტემბერში ტეილორთან საუბარში უკვე ჩანდა პიუს XII-ის ცივი ომის კონცეფცია. საუბრებმა, რომლებსაც პიუსი აწარმოებდა ჩერჩილთან და

დე გოლთან 1944 წელს, განამტკიცა ვატიკანის სტრატეგია – ომის დამთავრებისთანავე გაეგრძელებინათ უკომპრომისო ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აშშ გავლენიანი წრეები და ნიუ-იორკის არქიეპისკოპოსი ფ.სპელმანი, მხარს უჭერდნენ ამ გეგმას. ვატიკანისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რათა აშშ-ს თავი შეეკავებინა საბჭოთა კავშირთან შემდგომი თანამშრომლობისაგან. პიუსი საფრანგეთში მყოფი თავისი ნუნციუსისგან რონკალისგან (მომავალი პაპი იოანე XXIII) მოითხოვდა გავლენა მოეხდინა ფრანგ ეპისკოპოსებზე და შეექმნათ „ევროპის ქრისტიანი ხალხების კავშირი“. პაპი იმედოვნებდა, რომ დე გოლი ანგლოსაქსური ქვეყნების დახმარებით შეძლებდა ევროპის მშვიდობიან მოწყობას. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსი, კათოლიკე რ. მერფი დასავლეთ ევროპის მოკავშირეთა ექსპედიციური ძალების მთავარსარდალ დ.ეიზენჰაუერისადმი გაგზავნილ წერილში (1945 წლის 28 ივნისს) ხაზს უსვამდა ვატიკანის სტრატეგიის მნიშვნელობას აშშ პოლიტიკისთვის. ამერიკელმა კათოლიკე სენატორმა მაკარტიმ აქტიური ანტიკომუნისტური კამპანია დაიწყო კარდინალ სპელმანის მხარდაჭერით.

ვატიკანის მცედლობას ამაოდ არ ჩაუვლია. მის მთავარ იარაღს კომუნიზმთან ბრძოლაში კათოლიკური პოლიტიკური პარტიები წარმოადგენდნენ. 1947 წლის 27 თებერვალს პაპმა ამ პარტიების ევროპელ ლიდერებს სტრატეგიული პოლიტიკა გააცნო და ურჩია, რომ ამერიკულ კურსს გაჰყოლოდნენ. ევროპის კათოლიკური პარტიების დახმარებით 1947 წლის მაისში კომუნისტები ჩამოაშორეს საფრანგეთისა და იტალიის მთავრობებიდან. 1947 წელს ვატიკანის სტატუს-მდივანი პიეტრო გასპარი აშშ-ში გაემგზავრა, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის დასამყარებლად. კომუნიზმთან საბრძოლველად ევროპაში, პირველ რიგში, საჭირო იყო სასწრაფო ეკონომიკური დახმარება. ამიტომაც იყო, რომ 1947 წელს მარშლის გეგმას საზღვსამაღლი მოწონებით შეხვდნენ ვატიკანში. გარდა ეკონომიკური ფაქტორისა, არსებობდა კიდევ ერთი, უძლიერესი ფაქტორი – იდეოლოგია, რომელიც აშშ-მ ვატიკანთან ერთად წარმატებით განახორციელა. ეს გახლდათ ჩერჩილის, ტრუმენისა და პაპის 1946 წლის ანტიკომუნისტური გამოსვლები.

ცივ ომში აშშ-ვატიკანის ურთიერთობების აპოგეა იყო ტრუმენისა და ჰიუს XII -ის მიმოწერა. 1947 წლის 26 აგვისტოს ტელიორმა ჰიუს XII-ს გადასცა ტრუმენის წერილი, რომელშიც ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება დედამიწაზე შესაძლებელი იყო მხოლოდ ქრისტიანულ საწყისებზე და პაპს თანამშრომლობას სთხოვდა... 1947 წლის 28 აგვისტოს საპასუხო წერილში ჰიუს XII-მ თანხმობა განაცხადა ტრუმენის წინადადებაზე. 1947 წლის 29 აგვისტოს პაპისა და პრეზიდენტის წერილები „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში“ დაიბეჭდა და სენსაცია და პროტესტი გამოიწვია. ტრუმენმა საჭიროდ ჩათვალა გამოსულიყო 6 სექტემბერს და განეცხადებინა, რომ ტელიორი საუბრობდა „ტრუმენის ზავზე“ არა მარტო პაპთან, არამედ ევროპის სხვა ქვეყნის ლიდერებთანაც. ტრუმენისა და ჰიუს XII-ის წერილების გამოქვეყნებით ამერიკულმა მხარემ აფიშირება გაუკეთა საბჭოთა კავშირისა და მემარცხენე ძალების წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებას. 1949 წლის შემოდგომაზე ცივმა ომმა აპოგეას მიაღწია. 1950 წლის 12 მარტის ენციკლიკით „Anni sacri“ ჰიუს XII-მ კომუნისტები და მათთან დაახლოებული პირები ეკლესიიდან განკვეთა. ეს დეკრეტი ერთ ერთი კულიმინაციური წერტილია ცივი ომის, რომელიც დაკავშირებულია არა მარტო ახლად შექმნილ ნატოსთან, არამედ სიცილიაში მაშინ აღმოცენებულ მემარცხენე მოძრაობასთან, რომელსაც ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით ცივი ომის დამთავრებაში და საბჭოთა კავშირის დაშლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პაპმა იოანე-პავლე მეორემ, რომელიც სოციალისტური პოლონეთიდან იყო.

ვატიკანის 30 წლიანი ომის სტრატეგიაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ტაქტიკური ხაზი შეიმუშავა ჰიუს XII-ის რეალისტურად მოაზროვნე მემკვიდრემ წმინდა პეტრეს ტახტზე იოანე XXIII -მ ( 1958-1963). თავისი სახელის არჩევით მან სიმბოლურად ხაზი გაუსვა კონცელიარიზმის იდეას. ახალმა პონტიფექსმა სიღრმისეულად გააანალიზა პოლიტიკური ვითარება, რომელშიც კათოლიკე ეკლესია იყო. სოციალისტურ ბანაკთან კონფრონტაცია, რომელსაც სათავეში სსრკ ედგა, მხოლოდ ერთ-ერთი პრობლემა იყო იმ მნიშვნელოვანი სა-

კითხებიდან, რომელიც მას უნდა გადაეწყვიტა. პირველ რიგში, ეკლესია სამყაროს მოთხოვნილებების შესაბამისად უნდა გარდაქმნილიყო და არა მსოფლიო მოწყობილიყო ეკლესიის მოთხოვნილებების შესაბამისად, როგორც ეს პიუს XII -ს სურდა. პაპის გადაწყვეტილებას კურიის რეორგანიზაციასთან და ახალი ტაქტიკური ხაზის გატარებასთან დაკავშირებით ვატიკანში მტრულად შეხვდნენ. რონკალის არჩევისას კონკლავი იმედოვნებდა, რომ 77 წლის ვენეციის პატრიარქის პონტიფიკატი ხანმოკლე და გარდამავალი პერიოდი იქნებოდა. მაგრამ ისინი სასტიკად შეცდნენ; ვატიკანში დაიწყო არა მარტო რეორგანიზაცია, არამედ რევოლუცია. იოანე XIII -მ თავის ცნობილ ენციკლიკაში „Pacem in Terris“ მსოფლიოს მშვიდობისა და თანამშრომლობისაკენ მოუწოდა. ამ ენციკლიკამ შესაძლებელი გახადა სხვადასხვა კონფესიებთან და მარქსისტებთან დიალოგი. სოციალისტური ქვეყნების დე ფაქტოდ აღიარებასთან ერთად პაპმა გზების ძებნა დაიწყო მათთან დასაახლოებლად.

აჯორნამენტომ და ვატიკანის მეორე კრებამ განსაზღვრა ეკლესიის მოდერნიზაცია და რადიკალური ცვლილებები. ნაციონალურ ენებზე ღვთისმსახურება, პლურალიზმი, სეკულარიზაცია, რწმენის თავისუფლება, დიალოგი სხვა კონფესიებთან და ა.შ. რევოლუციური მნიშვნელობის იყო. ვატიკანი იქცა მშვიდობისა და პროგრესის ანგაჟირებულ მომხრედ, რამაც კარდინალურად შეცვალა მისი საგარეო პოლიტიკის ვექტორები, აღიდგინა საერთაშორისო ავტორიტეტი და დაბრუნდა მსოფლიო პოლიტიკაში. ვატიკანის ბრინჯაოს მძიმე კარები ფართოდ გაიღო მსოფლიოსთან დიალოგისთვის.

### **ბიბლიოგრაფია:**

- Giovanni XXIII. (2000). *Immagini della mia Vita*. A cura Elio Guerriero. Edizioni San Paolo. Milano. [Pictures of my life. Edited by Elio Guerriero. "San Paolo editions." Milano.]
- Giovanni XXIII. (2000). *Biografia ufficiale* a cura della diocesi di Bergamo. Edizioni San Paolo. Milano. [Official biography by Diocese of Bergamo. San Paolo Editions. Milano].

- Ciampa L. (2007) - Pope Pius XII: A Dialogue. "Author House". ISBN
- Daim W. (1967). Der Vatikan und der Osten. Wien : Europa Verlag,. [The Vatican and the East". Vienna: Europa Verlag].
- Falconi, C. (1979). I papi del ventesimo secolo. Feltrinelli in Milano. [The popes of the twentieth century].

World War II changed the world- the world socialist system was created, religion returned to the place of ideologies, which took an essential place in public and international relations life. The Holy See which owns temporal functions in addition to its religious significance has always played an important role in world politics with a form of the Vatican. The Vatican, well informed with its intelligence system, was fighting diligently against the atheistic ideology of Communism to protect Christian values for decades and carried out considerable action with the USA to fulfill Cold War politics. This period is associated with the pontificate Pius XII (1939-1958). For its part, the Soviet propagandistic machine began an active fight against the Vatican and proclaimed it as an ideology of an imperialistic camp. The documents saved in the Russian foreign Policy archive represent a prominent example of how Soviet ideology sought to undermine the Vatican's authority.

In the age of liberal values, the pope's purpose was to stop de-Christianization because he considered Catholicism as salvation for Europe so at the outbreak of World War II Pius XII declared strict neutrality, herewith the pope continued his diplomatic game. Churchill had a constant relationship with him and Roosevelt sent his special ambassador Myron Taylor to the pope who stayed in the Vatican until the liberation of Rome. The Vatican did not make any official announcement to defend any side until the end of the war that made sense pope's silence and his neutrality encouraged Germany, however, it should also be mentioned that the pope was responsible for 40 million Catholics living in the Nazi regime.

The preconditions of the Cold War had still been formed during the Second World War. Pius XII conception of the Cold War had already appeared in a conversation with Taylor in September 1942. Pi-

us's conversations with Churchill and de Gaulle in 1944 reinforced the Vatican's strategy to continue the uncompromising war against the Soviet Union as soon as the war was over. USA influential groups and New York Archbishop F. Spelman supported the plan that was exceptionally principal for the Vatican to refrain the US from further cooperation with the Soviet Union. Pius urged from his nuncio Roncalli (later Pope Johannes) who was in France, to impact on French bishops and to form "European Union of Christian People". The Pope hoped that de Gaulle would be able to make peace in Europe with the help of the Anglo-Saxon countries. US Department of State secretary Catholic R. Murphy, in a letter (June 28, 1945) to D. Eisenhower, Commander-in-Chief of the Allied Expeditionary Forces of Western Europe emphasized the importance of the Vatican strategy to the US policy. U.S. Catholic Senator McCarthy launched an active anti-communist campaign with the support of Cardinal Spelman.

The Vatican's attempt was not in vain. The weapon to fight against communism was catholic political parties. The pope introduced a strategic policy to the European leaders of these parties on February 27, 1947, and advised them to follow the American course. In May 1947, the Communists were ousted from the governments of France and Italy with the help of catholic parties. In the same year, Vatican secretary of State Pietro Gasparri travelled to the USA to establish political and economic cooperation. First and foremost for fighting against communism, urgent economic aid was necessary that was why in 1947 Marshal Plan became emphasized approved in the Vatican. Besides the economic factor, there was another sturdy factor-ideology, which was fulfilled successfully by US and Vatican. These were the anti-communist speeches of Churchill, Truman and the Pope in 1946.

The correspondence between Truman and Pius XII became its zenith of US – Vatican relations in the Cold War. On August 26, 1947, Taylor handed to Pius XII a letter from Truman in which he emphasized that to achieve a prolonged peace on earth was possible only through a Christian basis and asked Pope to cooperate. In a reply letter dated august 28, 1947 Pius XII consented to Truman's suggestion. The letters of the pope and president were published in the "New

York Herald Tribune" on August 29, 1947, which caused a sensation and protest. Truman considered it necessary to make a performance on September 6 and announce that Taylor's speech was concerned with "Truman's Armistice" not only with the pope but also with other European leaders. By publishing the letters of Truman and Pius XII, the American side proclaimed joint actions against the Soviet Union and left-wing forces. In 1949, Cold War reached its apogee. By the encyclical of March 12, 1950, named „Anni sacri" Pius XII expelled the communists and their associates from the church. This edict is one of the culminating points of the Cold War which is related not only to the newly formed NATO but also to the left-wing movement that arose in Sicily led by the Christian Democratic Party. Later Pope John Paul II, who was from socialist Poland, played an important role at the end of the Cold War and in the collapse of the Soviet Union.

Pope John XXIII (1958-1963), the realistic-minded successor of Pius XII, developed a new tactical line against the USSR in the strategy of the Vatican's 30-year struggle. By choosing his name John on the throne of St. Peter, he symbolically underlined the conciliarism idea. The new pontiff analyzed in-depth the political situation in which the Catholic Church was. The confrontation with the Socialist Camp, led by the USSR, was just one of the major issues that he should resolve. Firstly, the church had to be transformed according to the world's requirements and not the world should be arranged in accordance with church needs as Pius XII desired. The Pope's decision to reorganize the Curia and pursue a new tactical line was met with hostility in the Vatican. By electing Roncalli, the conclave hoped that the pontificate of 77 years old Venetian patriarch would be a momentary and transitional period, but they were severely mistaken. Not only a reorganization but also a revolution began in the Vatican. John XIII, in his famous encyclical „Pacem in Terris", proclaimed world peace and cooperation. This encyclical made it possible to carry out a dialogue with various denominations and Marxists. With the recognition of socialist countries as de Facto, the pope started to find new ways to get closer with them. The Adjournment and the Second Vatican Council determined the modernization and radical changes to the Church. Worship in national languages, pluralism, secularization, freedom of



religion, dialogue with other denominations, etc. had revolutionary importance.

The Vatican has become an accountable supporter of peace and progress, which has radically changed the vectors of its foreign policy, restored international authority and returned to world politics. The heavy bronze doors of the Vatican have widely opened for dialogue with the world.

### **References:**

- Giovanni XXIII. (2000). *Immagini della mia Vita*. A cura Elio Guerriero. Edizioni San Paolo. Milano. [Pictures of my life. Edited by Elio Guerriero. "SanPaolo editions." Milano.]
- Giovanni XXIII. (2000). *Biografia ufficiale* a cura della diocesi di Bergamo. Edizioni San Paolo. Milano. [Official biography by Diocese of Bergamo. San Paolo Editions. Milano].
- Ciampa L. (2007) - *Pope Pius XII: A Dialogue*. "Author House". ISBN
- Daim W. (1967). *Der Vatikan und der Osten*. Wien : Europa Verlag,. [The Vatican and the East". Vienna: Europa Verlag].
- Falkoni, C. (1979). *I papi del ventesimo secolo*. Feltrinelli in Milano. [The popes of the twentieth century].



კვლევის თემატიკური მეთოდი და რიმბოს  
პოეზია  
THEMATIC METHOD OF RESEA  
RCH AND RIMBAUD'S POETRY

ნანა გუნცაძე  
Nana Guntsadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** კრიტიკა, მეთოდი, სუგესტიურობა, მარადისობა,  
მშვენიერება

**Keywords:** Criticism, Method, Suggestibility, Eternity, Beauty

მწერლის შემოქმედების შესწავლისას, მკვლევარი პირველ რიგში ახდენს კვლევის თემის ფორმულირებასა და განსაზღვრავს კვლევის პრობლემას. როცა პრობლემა უკვე განსაზღვრულია ეს მკვლევარს საშუალებას აძლევს წინასწარ შერჩეული მეთოდის მიხედვით კონცენტრირება მოახდინოს კვლევის პროცესზე, რაც თეორიული დისკურსის ფორმას იღებს. კვლევის შედეგები დიდად არის დამოკიდებული კონკრეტულ შემთხვევაში კვლევის მეთოდის სწორ არჩევანზე.

რემბოს პოეზიის კვლევისას გამოყენებული გვაქვს თემატური კრიტიკა, რომელიც ჰერმნევტიკული კრიტიკის სხვა ფორმებისაგან განსხვავდება იმით, რომ ის უარყოფს პოსტულატს – ლიტერატურა ადამიანის, საზოგადოების და ისტორიის გამოხატვაა; ეს პოსტულატი საერთოა ახალი ფსიქოანალიტიკური და სოციოლოგიური კრიტიკისათვის. თემატური კრიტიკა კი იზიარებს რომანტიზმისგან მემკვიდრეობით მიღებულ ახალ კონცეფციას: ლიტერატურული ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, ეს არის უხილავი და ფარული კავშირების გამოვლენა, ზემთაგონება.

დამოკიდებულება, რომელსაც მწერალი ენის მიმართ იჩენს, მხატვრულ ტექსტს აქცევს გამოგონების ადგილად და არა საკუთარი თავის გამოხატვად. თემატური კრიტიკა ინტერნალურია. მათთვის, ვინც კითხვა იცის, მწერლის დამოკიდებულება სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან და საკუთარ თავთან მთლიანად მწერლის ტექსტშია მოთავსებული; ეს ის ადგილია, სადაც ავტორი თავის თავს იგონებს, საკუთარ თავს შეიცნობს. ამ მიმართულების კრიტიკოსს მიაჩნია, რომ მან უნდა გააცნობიეროს მწერლის მიერ განვლილი სულიერი გამოცდილება.

ჟორჟ პულე, ჟან რუსე, ჟან სტარობინსკი, ჟან პიერ რიშარი, აი ის ცნობილი მკვლევრები, რომლებიც გასტონ ბაშელარის შრომებზე დაყრდნობით ამ სფეროში ნამდვილ დიდოსტატებად იქცნენ. ამავე მიმართულებით აგრძელებდნენ მუშაობას „ჟენევის სკოლის“ წარმომადგენლები: ა. ბეგენი და მ. რეიმონი. ამ მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ თემატურ კვლევას არაფერი აქვს საერთო დოგმასთან, იგი დოქტრინის ირგვლივ არ ყალიბდება, არამედ ვითარდება როგორც კვლევა, რომლის ამოსავალი წერტილია ინტუიცია; იგი უგულებელყოფს ლიტერატურის

ლუგიკურ თუ ფორმალისტურ კონცეფციებს; ამ მიმართულების კვლევის არსი (როგორც აღვნიშნეთ) მდგომარეობს დაადასტუროს შემდეგი: ლიტერატურა იმდენად ცოდნის საფუძველზე არ იქმნება (რასაც ცხადია სრულად არ გამორიცხავს), რამდენადაც სულიერი გამოცდილების საფუძველზე, ასე მაგალითად, ცნობილი მკვლევარი მარსელ რეიმონი რუსომ მიიზიდა „მისტიკური ხასიათის გამოცდილებით“. თემატური კრიტიკის მიზანია მწერლის წარმოსახვითი სამყაროს გამოკვლევა. თემა კი არის ერთი კონკრეტული პრინციპი, ერთი ფიქსირებული სქემა ან ობიექტი რომელზედაც დაეფუძნება კვლევა-ძიება. სიუჟეტის კომენტარი კრიტიკოსის მხრიდან მოითხოვს ინტუიციის განსაკუთრებულ უნარს და აგრეთვე საკვლევი ტექსტის ზედმიწევნით ცოდნას. უნდა აღინიშოს, რომ ამ მიმართულებით მომუშავე მკვლევრები ძირითადად პოეზიით უფრო ინტერესდებიან.

რაკი ჩემი კვლევები ძირითადად ა. რემბოს პოეზიას უკავშირდება, ბუნებრივია, თემატიური კვლევა ნაყოფიერად მივიჩნიე და ჩემს ნაშრომში ძირითადად მას ვეყრდნობი. ამ ნაშრომში, მიზნად დავისახე რა ტექსტის თემატური კვლევა, ჩემს ამოცანად მივიჩნიე ა. რემბოს პოეტური შედეგის „გასხვივოსნების“ ანალიზი, რამაც მიმიყვანა შემდეგ დასკვნამდე: დამოკიდებულება, რომელსაც ა. რემბო ენის მიმართ იჩენს, „გასხვივოსნებას“ აქცევს გამოგონების ადგილად; ეს ის ადგილია, სადაც ავტორი იგონებს სრულიად ახალ, უჩვეულო სამყაროს, სადაც სიცოცხლე და მოძრაობა ჩნდება უძრაობაში, ანუ იქ სადაც ყველაფერი გაქვავებულია; ერთიანობა ჩანს იქ სადაც ყველაფერი ფრაგმენტულია და ეს მდგომარეობა აძლევს პოეტს გამოუთქმელის, იდუმალის, ფარულის გამხელის საშუალებას.

აქ მოცემული სიტუაციების, ხატების, იდეების და გრძნობების სუვესტიურობით შესაძლებელი ხდება რემბოს წარმოსახვითი სამყაროს ხედვა. ასეთი ტექსტის კითხვის მომენტი იძლევა წარმოუდგენელი თავისუფლების გრძნობით ცხოვრების ისეთივე განცდას, რასაც გრძნობს შემოქმედი ნაწარმოების შექმნის მომენტში. როდესაც პოეტი ენას ასე იმორჩილებს მას ექმნება შთაბეჭდილება, რომ მიაღწია მარადისობას. თავისუფლების ასეთი გაუგონარი, არნახული მდგომარეობა,

ასეთი ალტკინება ჯერ არნახული სამყაროთი, რისი წაკითხვაც ამ ტექსტში მოცემული სიტუაციების, ხატების, იდეების და გრძნობების სუგესტიურობით უნდა შევძლოთ, ალბათ სწორედ ეს არის მშვენიერების იდუმალი გრძნობის ის საიდუმლო, რასაც ყველა ასე სულმოუთქმელად ელოდება.

ეს ის უცხო და შემაშფოთებელი რეალობაა, რომელსაც პოეტი შეიცნობს საკუთარი მე-ს სიღრმეში და რომელსაც XX ს-ში ფსიქოლოგია უწოდებს არაცნობიერს. ა. რემბოს “გასხივოსნება”, მოდერნული პოეზიის ფუძემდებლური ტექსტია.

### **ლიტერატურა:**

- Berger ( 2005) D., Introduction aux méthodes critiques pour l'analyse littéraire . Dunod
- Anne Maurel, (1994) La critique ; Hachette
- Michel Jarrety, (2001) Dictionnaire de poesie de Baudelaire a Nos jours , Puf
- Ch. Beaudelaire (2019)Les Fleurs du malL Gallimard,
- Charles Baudelaire (1974) Œuvres complètes. La Pleiade

While studying the creativity of a writer, the researcher first formulates the research topic and identifies the research problem. Once the problem has been identified it allows the researcher to concentrate on the research process according to a pre-selected method, which takes the form of theoretical discourse. The results of the research greatly depend on the (correct) choice of the research method in the particular case.

